# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ზურგის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 ივნისი, 2011 წელი.

№104 (6715)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge


ფასი 50 თეთრი.

## ...აგვისტოს ის ხუთი დღე თუ გამოსაჩენია, მაისის იმ ერთ დღეზეც გადაიღონ ფილმი







4

## გამარჯვებად გაკინოებული დამარცხება

## 3 ზიგ ჰაილ – რუსთაველზე

## საოცარი ქვე-ყანა

7



ჯემალ სეფიაშვილი:

## ჩემი კოლეგების გამო ძალიან მრცხვენია

2

რას გეგმავს საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა?






თავს ნუ ვიტყუებთ!

8

## ჭეშმარიტების ძიება ბეწვის ხიდზე გასვლაა

## „მაგთიკომისგან“ ქართველი ხალხისთვის ამაღლების დღესასწაულზე მიძღვნილი საჩუქარი

9

პროტესტი

# ჯემალ სეფიაშვილი:
# ჩემი კოლეგების გამო ძალიან მრცხვენია



ლოთ, თორემ მალე ჩვენს სამშობლოში ველარც ვიცხოვრებთ, ველარც ვისუნთქებთ“.

კინოთეატრ „რუსთაველში“ „აგვისტოს 5 დღის“ ჩვენების ფაქტს გამოეხმაურა ცნობილი კომპოზიტორი **ჯემალ სეფიაშვილი,** რომელიც საერთო-სახალხო მოძრაობის წევრია: „ძალიან მრცხვენია ჩემი ე. წ. კოლეგების გამო, რომლებიც ზარზეიმით შედიოდნენ „რუსთაველში“, მას შემდეგ, რაც იქ ხელისუფლებამ დაატრიალა! დღეს კი ტელეეთერში ისხდა ოთხი წამყვანი ქალბატონი და იმაზე ჭორაობდნენ, რა ფერის კაბა ეცვა შერონ სტოუნს, როგორი ვარცხნილობა ჰქონდა და ა. შ. არ ვიცი, ან მე გავგიჟდი და არაფერი მესმის, ან ქვეყანაში რაღაც ხდება...

## რას გეგმავს საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა?

**დღეს ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა კონსულტაციებს გამართავს. გუშინდელ ბრიფინგზე ამის შესახებ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო მანჯავიძემ განაცხადა. მისი თქმით, უკვე ყბადაღებული მოთხოვნა „მიშა — წადი“, აღარ მუშაობს. ამიტომ ხელისუფლების რეალურ დემონტაჟს სხვა აუცილებელი პირობები სჭირდება.**

მან საერთო-სახალხო მოძრაობის 12 მაისს ფილარმონიაში მიღებული მანიფესტი გაიხსენა და განაცხადა: „ტერორის ინსტრუმენტების გასაუვნებელსაყოფად და დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიტაცებული ძალაუფლების კვლავ ხალხისთვის დასაბრუნებლად მოვითხოვთ: შსს-ს დეცენტრალიზაციას, ცენტრალური აპარატის — სოდ-ის, კუდ-ისა თუ სხვა პოლიტიზებული სამზოგადოებრივი მაუწყებლის გარდაქმნას არაკომერციულ იურიდიულ პირად — ჟურნალისტთა კავშირად, რომლის წევრებიც თავად აირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციას. ეს ის პუნქტებია, რომელთა მიღწევის შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილს ძლიერი საყრდენი გამოეცლება და ის თავისი ნებით წავა. უნდა მოიშალოს ტოტალური ტერორი. ჩვენ პოლიტიკური მოთხოვნები უნდა დავაყენოთ და ვაჩვენოთ ევროკავშირს, რუსეთს, აშშ-ს, რომ ვიბრძვით კონკრეტული უფლებების მოსაპოვებლად და არა აბსტრაქტული მიზნისთვის“, — დასძინა მან.

პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციები სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ მათაც მოაწერონ ხელი მანიფესტს. ეს არის პოლიტიკური ჯგუფების ვალდებულება და ერთგვარი ლუსტრაცია

**სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა ამჟერად ერთადერთ იმედს პოლიტიკური ძალების და შესაბამისად ხალხის კონსოლიდაციაზე ამყარებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვანოს ძლიერების მითი დაიმსხვრეს და შსს აპოლიტიკური ორგანო გახდეს, მაგრამ კიბერავტორიტარიზმის დაძლევა სწორედ ამ გზით მიაჩნიათ შესაძლებელი.**



**თანაც ევროკავშირიც ამ ბოლო დროს საკმაოდ ხშირად და კონკრეტულად მიანიშნებს იმაზე, რომ ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზება აუცილებელია. „თუკი ამის მიღწევა გართულდება, ჩვენ მოვითხოვთ ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის ვოტუმის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას, წინააღმდეგობის შემთხვევაში რეფერენდუმს ჩავატარებთ დამოუკიდებლად, ჩვენი ძალებით“,** — აცხადებენ მოძრაობაში.

სახურების გაუქმებას, ხოლო საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, დაზვერვის, კონტრდაზვერვის, საზღვრის დაცვის სამსახურების დამოუკიდებელ უწყებებად ჩამოყალიბებას; მანიფესტის მიხედვით, პროკურორის ინსტიტუტის ნაცვლად უნდა შემოიღონ სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტი, რომელსაც საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლება არ ექნება. ასევე, მოვითხოვთ დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბებას, და თუკი სახალხო დამცველი საგამოძიებო მოქმედებებს არაობიექტურად მიიჩნევს, გამომძიებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. აუცილებელია, სასამართლო პროცესებზე მედიასაშუალებების დასწრების უფლება, ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადება, რათა საპატიმროებში 5000-ზე ნაკლები პატიმარი დარჩეს, როგორც ამას ევროსტანდარტი ითვალისწინებს, ხოლო ნარკომომხმარებელნი უნდა გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საიმისა, თუ ვის უნდა რეალური ცვლილებები. ვინც უარს იტყვის ხელმოწერაზე და არ გამოყოფს რესურსს ამისთვის, ისინი ხელისუფლების საქმეს გააკეთებენ, — მიაჩნიათ სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს.

**ადა მარშანიამ** ამის მიღწევის ერთადერთ საშუალებად ხალხის თანადგომა დაასახელა: „ვინ დაშლის შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ არა ხალხი?! — იკითხა მან, — პრაქტიკულად ქვეყანას ვანო მერაბიშვილის უწყება მართავს, სააავადმყოფოებიც კი მას ექვემდებარება. ნუ ვაჩვენებთ ამათ, რომ გვეშინია, თორემ უარესს გვიზამენ. არ ვიცნობდე მაინც სააკაშვილს და მერაბიშვილს, წლები პარლამენტში ერთად ვიყავით, წმინდა წყლის ავანტიურისტები არიან.

გუშინ კიდევ ერთხელ ვიხილეთ ამ ხელისუფლების სახე რუსთაველზე. ეს იყო სამარცხვინო სცენა და იმის დასტური, რასაც მინდა და როგორც მინდა, იმას გავაკეთებო. მივმართავ მოსახლეობას, ხალხს, რომ არ შეიძლება ლოდინი შემოდგომამდე, არავითარი სიცხე თუ სიცივე, დავირაზმოთ და ერთად შევებრძოლოთ.

ვნახოთ, როგორი იქნება პოლიტიკური პარტიების რეაქცია...

**თეა მოსია**

პარტიებსა და მოძრაობებში

# „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი „რვიანს“ აკრიტიკებს

**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის წევრმა კონსტანტინე ფორჩხიძემ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ჩაშლილი მოლაპარაკებების ირგვლივ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის პავლე კუბლაშვილის და ეგრეთ წოდებული „რვიანის“ პოზიციაზე გააკეთა კომენტარი.**

ფორჩხიძის თქმით, ეგრეთ წოდებული „რვიანი“ 25-26 მაისის მოვლენებს საკუთარი თამაშის წესების გასამართლებლად იყენებს. მათი ინიციატივა 25-26 მაისის ტრაგიკული შედეგების შემსწავლელი საპარლამენტო კომიტიკური თამაშების შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ხელისუფლებისგან მოითხოვს დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას და ნუ უგულებელყოფს მოლაპარაკებებში მონაწილე სხვა სუბიექტებს „რვიანთან“ ინდივიდუალური მოლაპარაკებების საბაბით. ზემოთ ხსენებულთან დაკავშირებით კი იბადება კითხვა: — სურთ თუ არა „რვიანს“ და ხელისუფლებას მოლაპარაკების გზით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება?

ამ კითხვაზე მოძრაობას აქვს საკუთარი პოზიცია, კერძოდ მოძრაობა ფიქრობს, რომ ოპო-





სიის შექმნის შესახებაც. სწორედ მოახლოებულ 31 მაისს უკავშირდებოდა, როდესაც ცნობილი უნდა გამხდარიყო ხელისუფლების წერილობითი პოზიცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ეგრეთ წოდებული „რვიანის“ მიერ წარდგენილ წინადადებებზე.

„რვიანი ამ ქმედებით შეეცადა თემის გადაფარვას, რაც ხელისუფლების პოლიტიკური პროცესების დროში გაწელვის საშუალებას აძლევს. „რვიანი“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საკუთარი მოქმედების გეგმას გააცნობს.

საზოგადოებას, რაც პრაქტიკულად დროში გაწელილი პროცესი იქნება ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს“, — განაცხადა ფორჩხიძემ.

ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში პავლე კუბლაშვილმა „რვიანის“ ინდივიდუალურ რეჟიმში მოლაპარაკების ფაქტი დაადასტურა. თავის მხრივ „რვიანი“ საუბრობს მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლაზე.

საზოგადოება და მოლაპარაკებებში მონაწილე პოლიტიკური ძალები ამ განცხადებების შემდეგ სრულიად დეზორიენტირებულნი არიან, რაც გაურკვეველი პოლიზიციური „რვიანის“ ბოლოდროინდელი განცხადებები: ოპოზიციისა და საზოგადოების ხარისხიანობაზე, ხელისუფლებაში გონიერი და არაგონიერი ნაწილის არსებობაზე და ადრინდელი გამონათქვამი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესახებ ბადებს საფუძვლიან ეჭვს „რვიანის“ ჭეშმარიტი განზრახვის ირგვლივ: რომელ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე საუბრობს ბატონი ალასანია, იმაზე ხომ არა, რომელმაც „ლეგიტიმურად“ მისი სიტყვები აქცია?

თუ ირაკლი ალასანიას ოპოზიცია ლეგიტიმურობის შესახებ დავუჯერებთ, მაშინ არც არაფერი ყოფილა გასაუმჯობესებელი და მთელი ეს პროცესი პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად ჩაუფიქრებიათ.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ფიქრობს, რომ ე. წ. „რვიანი“, როგორც გამართულ პრესკონფერენციაზე ბატონმა კონსტანტინე ფორჩხიძემ ახსენა, მოქმედებს მხოლოდ პრინციპით მოვიდეს ხელისუფლებაში, მაგრამ ეს განზრახვა განზრახვად რჩება.

**ირინა ოზოლაშვილი**

ინფორმაცია

# ჩხარტიშვილს ათდღიანი პატიმრობა შეუფარდეს

**5 ივნისს რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვის მცდელობისას დაკავებული ლაშა ჩხარტიშვილი, რომელსაც ათდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, განცხადებას ავრცელებს.**

**განცხადების ტექსტი ჩხარტიშვილის ადვოკატმა ქეთი ბექაურმა გაავრცელა.**

**გთავაზობთ ჩხარტიშვილის განცხადების სრულ ვერსიას:**

**— 5 ივნისს მქონდა სურვილი, კიდევ ერთხელ გამომეხატა ჩემი პროტესტი სააკაშვილი-მერაბიშვილის კრიმინალური ტანდემის მიერ 26 მაისის მშვიდობიანი აქციის დაუნდობელი და სისხლიანი დარბევის, ასევე უდნაშულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტის გამო.**





**ჩემი მოქალაქეობრივი ვალის შესასრულებლად შევარჩიე სააკაშვილის მორიგი მრავალათეულმილიონიანი სამარცხვინო პიარაქციის განხორციელების დრო. საუბარია სააკაშვილის მიერ წაგებული ომის მოგებულად წარმოჩენის მიზნით, მათ შორის რუსული ფულის (ნაყოფიათემურ ალასანია-გენერალოვის სახსრებით) გამოყენებით გადაღებული ფილმის (აგვისტოს ხუთი დღის) ჩვენება, რომელზეც პუტინის საყვარელი სტუმარი შერონ სტოუნიც იყო მოწვეული.**

**სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი ჩემი სამართლიანი და კანონიერი პროტესტის გამოხატვა, ვინაიდან სასწრაფო წესით დამაკავა შსს-ს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა ვიგინდარათა ხროვამ. მხოლოდ სასამართლოში გაირკვა, რომ მე სიტყვები „ძირს სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურა“ უცენზურო გამონათქვამად „ჩამითვალეს“ და სწორედ ეს „ბრალი“ წამიყენეს. ვაღიარებ, რომ მართლა ვიხმარე უცენზურო სიტყვა, კერძოდ „სააკაშვილი“. მომავალში ყველანაირად შევეცდები მას მხოლოდ „მიკროდიქტატორი“ ვუწოდო!“**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პოზიცია

# ზიგ ჰაილ-რუსთაველზე

**Sieg Heil – ამ ცნობილი ნაციონალ-სოციალისტური ლოზუნგის ავტორი მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსია. ამ ლოზუნგს ნაცისტები მასობრივი შეკრებების დროს სკანდირებდნენ. წამყვანი ყვიროდა სიტყვა შიეგ-ს, ხმოვნის დაგრძელებით, მასა კი – Sieg-ს. ეგზალტირებული ნაციონალ-სოციალისტებისთვის მას თითქმის მისტიკური დატვირთვა ჰქონდა, პროპაგანდის თვალსაზრისით იგი აბსოლუტური წარმატების ვერბალურ სიმბოლოს წარმოადგენდა. თარგმანში კი იგი ასე ჟღერს: დიდება გამარჯვებას!**

26 მაისს საქართველოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რუსთაველზე აღლუმის ჩატარებით ქართულ საზოგადოებას სწორედ Sieg Heil-ის სრულფასოვანი ალეგორია შესთავაზა. 26 მაისს ეგზალტირებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ მორიგი“ „გამარჯვება“ იზეიმა და ეროვნულ დღესასწაულზე აბსოლუტურ გამარჯვებად გამოაცხადა საკუთარ მოქალაქეებზე განხორციელებული სისხლიანი ძალადობა.

რა თქმა უნდა, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე დაუნდობელი ნაცისტური დიქტატურის მასშტაბები საკმაოდ შორსაა საქართველოს პროვინციული პოლიტიკური რეჟიმის თავგასულობისგან, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გარემოებაა ისიც, რომ დღეს ოცდამეერთე საუკუნეა და ევროპის სივრცეში პოლიტიკური თავგასულობისთვის საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობებია.

ამ შეზღუდვების მიუხედავად, თანამედროვე პოლიტიკური მოძალადეების ხელშია 21-ე საუკუნის პოლიტტექნოლოგიები, რომელიც საშუალებას აძლევს რეჟიმებს, მასშტაბური და ყოვლისმომცველი ტერორის გარეშე მიიღოს მართვადი და დამორჩილებული საზოგადოების ეფექტი. ანუ, „ნაციონალურ მოძრაობას“ დღეს უბრალოდ არ სჭირდება გესტაპოს მსგავსად ყოველ სოფელში სახრჩობელას აღმართვა, რადგან ხელთ უპყრია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ყოველ საღამოს შეუძლია ყოველ ოჯახს საინფორმაციო სეანსებით ჩაუნერგოს მორჩილება და უსუსურობის განცდა.

26 მაისის ძალადობა სწორედ ასეთი საინფორმაციო სეანსის არენა იყო, თვით საინფორმაციო სეანსი კი საპროტესტო განწყობილების განეიტრალებას ისახავდა მიზნად. მაგრამ სხვა საკითხია, რა დაუპირისპირა ქართულმა საზოგადოებამ ხელისუფლების პოლიტტექნოლოგიურ იარაღს და რამდენად ადეკვატური იყო სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მოქმედებები.

ქართული პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი საკმაოდ ადრე გაემიჯნა „სახალხო კრების“ ინიციატივას მასობრივი გამოსვლების შესახებ. ეს, სულ ცოტა, ორ რამეს ნიშნავდა: პირველი – პოლიტიკური ჯგუფების მნიშვნელოვანი ნაწილი რეჟიმის დამხობის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად „სახალხო კრების“ ინიციატივას არ აღიარებდა და მეორე – „სახალხო კრებას“ საკუთარი ინიციატივა თავისივე რესურსებით უნდა განეხორციელებინა.

„სახალხო კრების“ გამოცხადებული კამპანიის შემდეგ, ცხადია, მოსალოდნელი იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შესაბამისი საინფორმაციო სეანსის მოსამზადებლად აუცილებლად გამოიყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აპრობირებულ მეთოდებს, მაგრამ, არავინ იცის, იქნებოდა თუ არა ეს საკმარისი პროტესტანტების სასტიკი ანგარიშსწორებისთვის, ხელისუფლებას ხელში რომ არ ჩავარდნოდა სანუკვარი საჩუქარი სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების განცხადებების სახით, რომელთა მიხედვითაც „სახალხო კრება“, ფაქტობრივად, პოლიტიკურ კეთროვნად ცხადდებოდა.



რა თქმა უნდა, არავინ იყო ვალდებული, გაეზიარებინა „სახალხო კრების“ პოლიტიკური მიზნები, მაგრამ თავისუფალ საზოგადოებაში არსებობს სოლიდარობის სამოქალაქო ვალდებულება ნებისმიერი ჯგუფის კანონიერი უფლებებისადმი. ანუ „სახალხო კრების“ გამოხატვის უფლება უნდა ყოფილიყო დაცული საზოგადოების სოლიდარობით მათი პოლიტიკური შეხედულებებისგან დამოუკიდებლად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „სახალხო კრების“ წინააღმდეგ ამოქმედდა პროპაგანდისტული მანქანა; მას შემდეგ, რაც განხორციელდა ზონდერჯგუფების თავდასხმები. ამის ნაცვლად კრიტიკულ წუთებში „სახალხო კრებამ“ საზოგადოებისგან მიიღო ძირითადად პოლიტიკური კრიტიკა და უმნიშვნელო სამოქალაქო სოლიდარობა.

პოლიტიკური მიუღებლობის მოტივით სხვათა სამოქალაქო უფლებებისადმი სოლიდარობის დეფიციტს მომავალში უთუოდ მოჰყვება თავისი უარყოფითი შედეგები. ხელისუფლებამ სწორედ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე მოახერხა სხვადასხვა დროს არაერთი პოლიტიკური ჯგუფის სამოქალაქო უფლებების შელახვა. „ნაციონალური მოძრაობა“ მოქმედებდა ერთი და იგივე გეგმით – ხელისუფლება პროპაგანდისტული მექანიზმებით ან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე მოპოვებული გავლენის წყალობით ახერხებდა არასასურველი წრეების მარგინალიზაციას და შემდეგ ხელყოფდა მათ სამოქალაქო უფლებებს. სწორედ ამ სქემებით დაარბიეს და დახურეს მედიასაშუალებები, ციხეებში გამოკეტეს ბიზნესის წარმომადგენლები, „გააუვნებელყვეს“ პოლიტიკური ორგანიზაციები. სამოქალაქო სოლიდარობის დეფიციტის პირობებში იგივე ელის „ხარისხიან“ თუ ნებისმიერი ხარისხის პოლიტიკურ ჯგუფს, თუ მათ წინააღმდეგ ამოქმედდა “ნაციონალური მოძრაობის“ „პოლიტიკური მკვლელის“ კანტორა. ის კი ყოველთვის ამოქმედდება, თუ ნაციონალური მოძრაობა იგრძნობს საფრთხეს და არ იქნება სამოქალაქო სოლიდარობა.

პოლიტიკური ჯგუფები კონტექსტის გაუთვალისწინებლად პოლიტიკურად მიუღებელ ჯგუფებზე განხორციელებული თავდასხმებით და მათი სირცხვილის ბოძზე გაკვრით, საკუთარი სირცხვილის ბოძს ამზადებენ. მოგვიანებით ყოველთვის შეიძლება ამომწურავი და დამაჯერებელი განცხადების გაკეთება თუ რა იგულისხმებოდა, მაგალითად, „ხარისხიან ქართველებში“, მაგრამ ფრაზა უკვე იქცა ერთ-ერთ ლურსმნად ათობით მოქალაქის სირცხვილის ბოძზე მისაჭედებლად. ყოველთვის შეგვიძლია ეს ლურსმანი ამოვაძროთ, მაგრამ „სირცხვილის ბოძმა“ უკვე თავისი როლი შეასრულა.

ქართულ საზოგადოებაში მრავლადაა ქვედა დინებები, სადაც მოღვაწეობს ნომენკლატურული სულისკვეთების „ელიტურ-ინტელექტუალური“ ბომონდი, რომელიც ზედმიწევნით ფორმალიზებული მიუკერძოებლობით ხშირად პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას გასცემს „ნაციონალური მოძრაობის“ მიზანში ამოღებულ ამა თუ იმ ჯგუფის ან პერსონათა პოლიტიკურ მოკვეთაზე.

მაისის კამპანიის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საჩუქარი ხელისუფლებას თავად „სახალხო კრებამ“ უბოძა. სავარაუდოდ, „სახალხო კრებაშიც“ სჯეროდათ, რომ „შეფიცულთა“ რაზმი სპეცნაწილებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, „შეფიცულების“ საშუალებით „სახალხო კრება“ შეიძლება აქციაზე მიწვეულ საზოგადოებას უსაფრთხოების ვიზუალურ გარანტიას უქმნიდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მსუბუქ და კანონის ჩარჩოებში მოქცეულ შეიარაღებას სწორედ ვიზუალური უკუეფექტი აღმოაჩნდა სოლიდარობასთან ისედაც გამწყრალი საზოგადოებისთვის. მშვიდობიანი პროტესტისთვის თავისუფალ საზოგადოებას მშვიდობიან ეკიპირებაზე უკეთესი იარაღი ჯერ არ გამოუგონებია და უდავოდ უმჯობესია მშვიდობიანი დემონსტრანტების ეკიპირებაზე ძალოვანი ბიოგრაფიის და ცნობიერების პერსონები არ ზრუნავდნენ.

26 მაისის ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია „ნაციონალური მოძრაობის“ გარემოცვაში დაბუდებული ერთგულების ფარსი, ან ერთგულების ინტელექტუალური მარაზმი - ადამიანები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ტექსტებს ტელეკამერების წინ ბეჯითი მესამეკლასელი მოწაფის დაუზარლობით და სუფთა წერის მანერით ასრულებენ.

ქართული საზოგადოების პრობლემაა ანტირუსული ისტერია. სწორედ ეს ისტერია იქცა უკვე მერამდენედ ჩვენივე ტრაგედიად. თუ მაისის ტრაგედიას ანტირუსული ისტერიისგან დამოუკიდებლად შევხედავთ, ალბათ, რთულია, გონივრული დადებითი პასუხი მოეძებნოს კითხვას, თუ როგორ შეეძლო „სახალხო კრებას“ რუსთაველზე გამართული აქციით რუსული აგრესიის გამოწვევა. თუ რუსეთის ფედერაციამ დარჩენილი საქართველოს ოკუპაცია განიზრახა, ამისთვის, დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობების გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციას საქართველოში არსებული გამოხატვის თავისუფლების პრობლემები საბაბად ვერ გამოადგება. ამის გარდა, რუსეთის არმიას დახმარებაში უკვე გაწაფული ზოგიერთი გუბერნატორიც ეგულება და ბოლოს, თუ სერიოზულად არსებობდა ჩვენი მზვერავების ინფორმაცია, რომ აგრესია მზადდებოდა, რა უნდოდა ამ დროს ქართულ არმიას რუსთაველზე?

ქართულმა საზოგადოებამ უნდა მოუძებნოს პასუხი კიდევ ერთ კითხვას: რატომ აღძრავს ეგზალტირებულ მოლოდინებს თითქმის მითოლოგიზებული თემები? ქართული საზოგადოება აქტიური მომხმარებელი გახდა პოლიტიკური მითოლოგიის, რამაც ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 26 მაისის ტრაგედიაში. ეს იყო მითი ირაკლი ოქრუაშვილის თბილისში ჩამოსვლის შესახებ.

არავინ აპირებს იმის მტკიცებას, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მოისურვებდა რუსულ ტანკზე ამხედრებას, მაგრამ თუ ტანკზე ამხედრების მსურველის არსებობა საკმარისი პირობა იყო საქართველოს ოკუპაციისთვის, ტანკზე ამხედრების მსურველები ალბათ თავად რუსეთშიც მოიძებნებოდნენ. თუმცა, ეს სრულიად არასერიოზული საკითხია და კიდევ უფრო არასერიოზული იყო ირაკლი ოქრუაშვილის თბილისში ჩამოსვლის ვერსია არარუსული გზით. რა უნდა მოჰყოლოდა ოქრუაშვილის ჩამოსვლას, თუ მას ჩამოსვლისთანავე დააპატიმრებდნენ? იქნებ ქართული საზოგადოების როლის შესრულება უნდა ეკისრა ირაკლი ოქრუაშვილს? მთავარი ისაა, რომ სანამ ქართული საზოგადოება თავის როლს თვითონ არ შეასრულებს, არ ჩაცხრება უკვე აბობოქრებული Sieg Heil!

**ვახტანგ კომახიძე,**

შვეიცარია.

PRESAGE.TV

ინფორმაცია

## ქუთაისურმა პარლამენტმა ამერიკელებიც დააინტერესა

**აშშ-ის კონგრესის წევრები ქუთაისში პარლამენტის გადატანის საკითხით დაინტერესდნენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა მაგდა ანიკაშვილმა ამერიკელ კონგრესმენებთან საპარლამენტო უმცირესობის წევრების შეხვედრის შემდგ განაცხადა.**

**– შეხვედრაზე ამერიკელი კონგრესმენები დაინტერესდნენ, როგორ მიმდინარეობს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პროცესი. სხვათა შორის ასევე დაინტერესდნენ, რამდენად მიზანშეწონილია პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რადგან მათი მოსაზრებით ორ ქალაქში, მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოს შორის თანამშრომლობა შესაძლოა უფრო ნაკლებ ეფექტური იყოს, –აღნიშნა ანიკაშვილმა.**

**მისივე თქმით, შეხვედრაზე ამერიკელ პოლიტიკოსებს „ქრისტიან-დემოკრატების“ მოსაზრება გააცნო, რომელიც 26 მაისის მოვლენების გამოძიებას უკავშირდება.**

**ანიკაშვილის თქმით, კონგრესმენებმა შეშფოთება გამოთქვეს ოკუპირებული ტერიტორიების ახლოს არსებულ დაძაბულ ვითარებაზე და ამ ტერიტორიებიდან პროვოკაციების მოწყობის საფრთხეებზე.**

## მოლაპარაკებები შვეიცარიის მხარემ შეაჩერა

**ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხზე საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის გამართვის თარიღი ისევ უცნობია.**

**„როდის გაიმართება მორიგი შეხვედრა, ჯერჯერობით არ კონკრეტდება, თუმცა ეს იქნება მხარეთა შორის შეთანხმებაზე დამოკიდებული. მთავარია, რომ მოლაპარაკებების გაგრძელების დინამიკა არსებობს, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ გამართულ პრესკონფერენციაზე.**

**ამასთან, კალანდაძემ ის მიზეზიც განმარტა, რის გამოც მოლაპარაკებები გაურკვეველი ვადით გადაიდო და აღნიშნა, რომ „დრო, გარკვეული საკითხების მოსამზადებლად შუამავალმა მხარემ – შვეიცარიამ ითხოვა“.**

## აკი აფხაზეთი აღიარესო?

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვანუატუს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა არ უღიარებია.**

**ამის შესახებ გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე უწყების ხელმძღვანელის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა.**

**– ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ინფორმაცია სიმართლე არ არის. ჩვენი ინფორმაციით, ვანუატუს ხელისუფლებას არასდროს უთქვამს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის აღიარებას აპირებდა და ამას არც მომავალში აპირებს, – განმარტა ნინო კალანდაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ჭირი დანახული სჯობს

# გამარჯვებად გაკინოებული დამარცხება,

## ანუ ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო...

*რუსთაველის კინოთეატრში საქველმოქმედო ვახშამზე აგვისტოს ომის ჩვენმა მთავარსარდალმა ერთი ფრიად საგულისხმო ფრაზა თქვა (მგონი, ინგლისურად), ხან კინო არმიაზე მეტ საქმეს აკეთებსო... გარდა ამ ჩვენი აგვისტოს ომისა, ნამდვილად არ მაგონდება ისეთი ომი (თუნდაც შორეული, ისტორიული), სადაც უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულ რომელსამე არმიას მერე კინოს საშუალებით გაემარჯვოს... ოღონდ, აქ ერთი ოღონდ არის: თუ ფილმი ამ დროს, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მარცხდება, ცხადია, ასეთ მხატვრულად დამარცხებულ ფილმში მოდელირებული გამარჯვებაც ისევ დამარცხებად რჩება გემოვნებიანი, მომთხოვნი და პოლიტიკურად მიუკერძოებელი მაყურებლის თვალში... სწორედ ასეთ დამარცხება-გამარჯვებასთან გვაქვს საქმე ჰოლივუდელი რეჟისორის რენი ჰარლინის „აგვისტოს 5 დღეში“, რომელიც ახალი, გამარჯვებული რეალობის შესაქმნელად დაუკვეთა ჩვენმა დამარცხებულმა ხელისუფლებამ ფინური წარმომავლობის ამერიკელ რეჟისორს.*



მაგრამ მთავარი ახლა ეს არ არის. მთავარი ის არის, რომ იქ, სადაც 26 მაისის ღამეს ჩვენმა ვაისამართალდამცავებმა სისხლის ხალიჩა დააგეს და აგვისტოს ომში გამოსაჩენი ვაჟკაცობაც და შემართებაც აქ, რუსთაველის კინოთეატრის წინ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიჩინეს, ახლა იმ სისხლის ფერი ხალიჩა-ფიანდაზი დაუგეს, სპეციალისტთა აზრით, უთუოდ საეჭვო მხატვრული ღირებულების „აგვისტოს 5 დღის“ შემქმნელ ჯგუფს...

ქართველებმა რომ ყოველივე უცხოურზე გაგიჟება და გადარევა ვიცით, არახალია, ძველისძველია, მაგრამ ახლა რის მომსწრენიც გავხდით, ნამდვილად ყველაფერს გადააჭარბა, თანაც გულისამრევად, ჩვენდა დამამცირებლად და დამაკნინებლად.

ნაციონალური „რუსთავი-2“-ისა და „იმედის“, ჩემი აზრით, აშკარად სამარცხვინო რეპორტაჟებს ჩემს რამდენიმე მეგობართან ერთად ვუცქეროდი. და უკლებლივ ყველანი ერთმა გრძნობამ შეგვიპყრო: უხერხულობის სირცხვილის გრძნობამ. ეს უკვე სტუმარ-მასპინძლობა აღარ იყო, ეს იყო სამარცხვინოდ გამოხატული მადლიერება იმ დიდი ტყუილისთვის, რომელიც მსოფლიოსთვის თვალში ნაცრის შესაყრელად კომერციულ საწყისებზე „გააკინოებინა“ ვირტუალურ გამარჯვებათა ტრფიალმა ჩვენმა ხელისუფლებამ მამონას ძალმოსილების ტრფიალ ჰოლივუდელთ.

მგონი, ზუსტად იხუმრა ერთმა ჩვენმა მეგობარმა, როცა რეჟისორი რენი ჰარლინი თბილისის აეროპორტში ვითომ ჩვენი დიდი სიყვარულის გამოსახატავად მიწას ემთხვია: ეგ კაცი იმ მუსუს სიძეს მაგონებს, რომელიც კარგა გვარიანად გაბახებულ, მაგრამ ასევე კარგა გვარიანად გამზითვებულ ქალს ირთავსო, მეორემ კი უფრო სხვანაირად გამოთქვა თავისი აზრი, ერთი ძველი ქართული ანდაზა გაიხსენა: უყურეთ, ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნისო... რა ყურძენზე და რა ღობეზეა ლაპარაკი, ალბათ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს... ამ კონტექსტში ძნელი მისახვედრი არც ენდი გარსიას საქციელია... თუკი მართლა შინაგანი ღირსების მქონე მსახიობია, ვერ წარმომიდგენია, რომ „აგვისტოს 5 დღის“ ქართველი მხედართმთავრის როლზე მუშაობის დაწყებამდე ის სამარცხვინო კადრი არ ენახოს, თუ როგორ დააფრთხო სიკვდილის შიშმა სხვისი ხელით ნარის გლეჯის მოყვარული სააკაშვილი, რომელსაც მილიარდად დამჯდარი სასახლის ბინადართა კეთილდღეობის სინამდვილეში მშიერი საქართველოს კეთილდღეობად წარმოჩენა უნდა. და არა მარტო ჩვენთვის, არამედ უფრო მეტად სხვებისთვის, ვისაც საქართველო, აშკარად სუროგატი დემოკრატიის ქვეყანა, კარგ ხელის მოსათბობ „შემდგარ“ სახელმწიფოდ ესახება...

სახელმწიფო არა, მაგრამ კობა ნაყოფია რომ „შემდგარი“ ბიზნესმენია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ შერონ სტოუნს, ახლა ჰოლივუდის არცთუ მაინცადამაინც ბრდღვიალა ვარსკვლავს, მან შვიდი ათასი წითელი ეკვადორული ვარდი უძღვნა და, როგორც ჩანს, ამჯერად უკვე კინოში გამარჯვებულმა მხედართმთავარმა სწორედ კობას აკისრებინა მთელი ამ „კინოეპოპეის“ ხარჯ-ბორჯი.

ასე რომ ხუთდღიანი ომის შემდეგ ამ ორდღიანი „კინოთავდასხმის“ შედეგად საქართველოსთან ერთად ყველაზე მეტად დაზარალებული ჯერჯერობით ეს კობა ნაყოფია დარჩა, ხოლო ამ ფინანსური ზარალის ფასად რა ნაყოფი ერგო, ამას მომავალი გვიჩვენებს.



მომავალი, ალბათ, იმასაც გვიჩვენებს, თუ ვინ შეცვლის კობას ჩვენი მომავალი კინოგამარჯვებების მოსაპოვებლად. არადა, სანამ პუტინი არსებობს, მესამე ვადისკენ უკვე პრემიერ-მინისტრად დაძრული სააკაშვილისთვის თუნდაც კინოში გამარჯვება მუდამ აუცილებელი საჭიროება იქნება.

**გურამ წიკლაური**

*P. S. ისე, არა მგონია, ეს ჩვენი ჰოლივუდელთა ჯგუფის წევრები , ისე იყვნენ მამონასგან დაბრმავებულნი, რომ გულის სიღრმეში მაინც ვერ ხედავდნენ, რასთან და ვისთან აქვთ საქმე... თუმცა, რა ენაღვლებათ, როცა ჭირიც სხვისია, ღობეც და ჩხირიც...*

*გ. წ.*



# „საუცხოო“ ქართული სიტყვაა

## ანუ რა ზარ-ზეიმით დახვდა ხელისუფლება ჰოლივუდურ ფილმსა და მის ავტორებს

**რატომ შემოვიდა ოდითგანვე ქართულ ენაში სიტყვა „საუცხოო“? ეს დიდ კონსტანტინე გამსახურდიასაც კი უკვირდა, აკი ამბობს „დიდოსტატის მარჯვენაში“, კარგ ქართულ თხილსაც კი ბერძნულს ვეძახითო... ასეა, გვიკვირდა და გვიკვირს უცხოური, „საუცხოოდ“ შეკერილი პიჯაკი, „საუცხოოდ“ შეკმაზული საცივი... და, რაც მთავარია, „საუცხოო“ დახვედრა.**

აბა, რა ეცხო „ქართული“ დახვედრისა იმას, რაც 5 ივნისის საღამოს რუსთაველზე ხდებოდა?.. კი, ბატონო, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ასეთი ეიფორია კინორეჟისორ რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს 5 დღის“ გამო, ქაჯობას უფრო ჰგავდა. რა თქმა უნდა, პატივისცემას მოითხოვს ნიჭიერი ენდი გარსიაც და უმშვენიერესი შერონ სტოუნიც... აგრეთვე, სხვები და სხვები... როგორც ვთქვით, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ცოტათი მაინც გვეტყობოდეს, რომ ჩვენ აკაკი ხორავას, სერგო ზაქარიაძის, ნატო ვაჩნაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, რამაზ ჩხიკვაძის და, კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო, მშობელი ერი ვართ და ნამეტანს ნუ ვგიჟდებით „უცხოურზე!“ თუმცა, აფასებს კი დღევანდელი ხელისუფლება ამ გიგანტი ქართველების სახელებს?!. მაგრამ რად გვინდა მათი დაფასება, აგერ გვაქვს სიტყვა „საუცხოო.“

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ჭინჭარსიტყვა

### რაციონალიზატორული წინადადება

პრემიერის დღეებში ეს ფიქრი
გამჩენია,
ეგებ საგულისყურო
რომელიმე ფირმის:
აგვისტოს ის ხუთი დღე თუ
გამოსაჩენია –
მაისის იმ ერთ დღეზეც გადაიღონ
ფილმი...

**თამაზ ილმელი**

◉ ინფორმაცია

### საქველმოქმედო ვახშამი და მილიონნახევარი ლარი

რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაზარალებული ოჯახებისთვის მილიონნახევარი ლარი შეგროვდა.

საქველმოქმედო ვახშამი რუსთაველის თეატრში კვირას გვიანობამდე გაგრძელდა. მას პოლიტიკოსები და ბიზნესმენებიც ესწრებოდნენ.

ვახშამი 160 სტუმარზე იყო გათვლილი. მასზე დასასწრები ბილეთი 5-დან 10 ათას დოლარამდე ღირდა.

შეგახსენებთ, რომ თბილისში მოქმედ კინოთეატრებში „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა შედგა, რომლის დასრულების შემდეგაც რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო ვახშამი გაიმართა.

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჰოლივუდის ვარსკვლავები საქართველო-რუსეთის ომის შესახებ ფილმის პრემიერაზე

**ამერიკელმა კინოვარსკვლავებმა ენდი გარსიამ და შერონ სტოუნმა კვირას პოსტ-საბჭოთა თბილისს მცირეოდენი ჰოლივუდური ბრწყინვალება დაუმატეს საქართველო-რუსეთის შესახებ ფილმის პრემიერაზე, ფილმისა, რომელშიც კონფლიქტი წარმოდგენილია, როგორც კრემლის აგრესია.**

„აგვისტოს ხუთი დღე“, რომლის რეჟისორიც გახდა რენი ჰარლინი, თანაპროდიუსერი – ერთ-ერთი ქართველი მინისტრი, გვიამბობს გამოგონილ ამერიკელ რეპორტიორზე, რომელიც ცდილობს, გამოარკვიოს მთელი სიმართლე იმ მხეცობასა და სიმკაცრეზე, რომლებიც ჩაიდინეს 2008 წელს ხუთდღიანი კონფლიქტის დროს.

„ეს არის ფილმი ომის წინააღმდეგ“, – განაცხადა თბილისში პრესკონფერენციაზე ენდი გარსიამ, რომელიც კინოსურათში ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის როლს.

„წარმოქმნილ ტრაგედიას ჩვენ ვუმზერთ იმის იმედით, რომ იგი აღარასოდეს განმეორდება“, – თქვა მსახიობმა, რომელიც ერთხელ ნომინირებული იყო ოსკარზე „ნათლიის“ მესამე ნაწილში ერთ-ერთ როლზე.



რეჟისორმა ჰარლინმა, რომელიც მაყურებლისთვის კარგად არის ცნობილი თავისი ბოევიკებით „კერკეტი კაკალი-2“ და „კლდეზე მცოცავი“, განაცხადა, რომ ეს ფილმი არის „პატარა ქვეყნის შესახებ, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის“.

„ეს იყო ჩემი ყველაზე ძლიერი შეგრძნება მთელი ჩემი ცხოვრებისა და კარიერის მანძილზე“, – განაცხადა მან საქართველოში ფილმის გადაღების შესახებ.

ასობით ადამიანი დაიღუპა იმ ხანმოკლე ომის დროს, როდესაც მოსკოვმა მეზობელ საქართველოში შეიყვანა თავისი ჯარები, რათა მოეგერიებინა თბილისის მცდელობა – დაებრუნებინა თავისი კონტროლი კრემლის მხარდაჭერის ქვეშ მყოფ ამბოხებულ რეგიონზე, სამხრეთ ოსეთზე.

ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერი გახდა სააკაშვილის პროდასავლური ადმინისტრაციის მინისტრი. მან უარყო იმის მტკიცება, რომ კონფლიქტი კინოფილმში წარმოსახულია წინასწარი განზრახვითა და ცალმხრივად.

„რასაკვირველია, ეს პროპაგანდა არ არის“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში მირზა დავითაიამ.

„ეს ფილმი ემყარება „ჰუმან რაიტს ვოტჩის“ და ევროკავშირის საერთაშორისო მოხსენებებს“, – თქვა მან.

საქართველოს ხელისუფლებამ ნება მისცა ჰარლინს, გამოეყენებინა გადაღებისთვის ბრძოლების სცენები და ბრძოლის ველიდან გამოქცეული თავისი ჯარისკაცები, ტანკები და შვეულმფრენები, თუმცა უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ პირდაპირ აფინანსებდნენ სურათს.

ჰარლინმა რეპორტიორებს უთხრა, რომ პროექტი 12 მილიონი დოლარი ღირდა, უარყო ადრე გავრცელებული შეფასება 20 მილიონ დოლარზე. მიუხედავად ამისა, ეს მაინც ერთ-ერთი ყველაზე ძვირი ფილმია, რომელიც კი გადაღებულა სიღარიბემდე მიყვანილ საქართველოში.

ფილმის ჩვენების დროს თბილისში გაავრცელეს წიგნები ქართველ ჯარისკაცებზე, რომლებიც გმირულად დაეცნენ.

შერონ სტოუნს ფილმში არ ილებდნენ, მაგრამ დაესწრო პრემიერას და მის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო საღამოს, რომელზეც შეაგროვეს სახსრები იმათი ოჯახების დასახმარებლად, ვინც დაზარალდა ომის დროს.

კინოთეატრის მახლობლად, სადაც პრემიერა მიმდინარეობდა, შეიკრიბა რამდენიმე ასეული კაცი, რომლებიც მიესალმებოდნენ ვარსკვლავებს ამერიკიდან, რომელთა სტუმრობაც ამ პატარა კავკასიური რესპუბლიკისთვის იშვიათობაა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჰოლივუდელმა რეჟისორმა გადაიღო კინო ჩვენს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებზე, რომელსაც ჰყავს დიდი მტერი“, – განაცხადა ერთ-ერთმა მაყურებელმა ნიკო ბაღაშვილმა.

„ჩვენი ქვეყანა პატარაა, და ეს დიდებულია, რომ აქ ჩამოვიდნენ ისეთი სახელოვანი ადამიანები, როგორებიც არიან გარსია და სტოუნი“, – განაცხადა მეორე მაყურებელმა ნანა ივანიშვილმა.

მაგრამ სასტუმროს მახლობლადაც, სადაც გარსია და ჰარლინი აწყობდნენ პრესკონფერენციას, ასევე შეიკრიბა მანიფესტანტების პატარა ჯგუფი, რომლის მონაწილეებსაც ხელში ეჭირათ ლოზუნგები, ისეთები, როგორიცაა „სულიერი პროპაგანდა – ხელოვნება როდია“.

„ეს ფულის ამაო ხარჯვაა, რაც ხდება სახელმწიფო იდეოლოგიის სამსახურისთვის“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა დემონსტრანტმა ბაქარ ბერიკაშვილმა.

საქართველო და რუსეთი თავისებურად განმარტავენ 2008 წლის მოვლენებს, რომლის შემდეგაც მოსკოვმა აღიარა სამხრეთი ოსეთისა და საქართველოს მეორე ამბოხებული რეგიონის აფხაზეთის დამოუკიდებლობა, აგრეთვე მუდმივ საფუძველზე განათავსა იქ თავისი ჯარები.

2009 წელს მოსკოვში გამოვიდა მხატვრული ფილმი სახელწოდებით „ოლიმპიუს ინფორმო“, რომელშიც გადმოცემულია რუსეთის შეხედულებანი იმ როლზე, რომელსაც რუსეთი მიიჩნევს კანონიერ ჩართვად ქართული არმიის შეტევის თავიდან მოგერიების მიზნით.

AFP

# ქართველი ოპოზიციონერი უცხოეთში გაიქცა

**ქართული ოპოზიციური მოძრაობის „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის მეუღლემ ბადრი ბიწაძემ დატოვა თავისი ქვეყანა, რათა თავიდან აეცილებინა ხელისუფლების დევნა.**

ამის შესახებ განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შოთა ხიზანიშვილმა. ქართული პრესის ცნობით, ბიწაძე, სავარაუდოდ, სომხეთში იმალება. მაგრამ ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები უარყოფენ ამ ცნობას. არის აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ ბიწაძე გაიქცა სამხრეთ ოსეთში.

უკანასკნელად ოპოზიციონერი ნახეს 26 მაისის ღამით რუსთაველის პროსპექტზე ოპოზიციის მიტინგის დარბევის დროს. შეტაკების დროს დაიღუპა ორი (სხვა მონაცემებით ოთხიძ კაცი, ოპოზიციის ზოგიერთი მომხრე ნაცემია, დაახლოებით 100 კაცი დაკავებულია. ყველა დაკავებულს 26 მაისის ღამით წაუყენეს ბრალდება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და ხულიგნობის შესახებ. ბიწაძის წინააღმდეგ წამოაყენეს ბრალდება პოლიციელებზე თავდასხმის ორგანიზაციის გამო, რისთვისაც მას ემუქრება 4-დან 7-წლამდე ციხე. სასამართლომ გასცა სანქცია ორი თვის ვადით მის წინასწარ დაპატიმრებაზე.

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# დედამიწის ზურგზე

**რატკო რადიჩმა ჰააგის ტრიბუნას ულტიმატუმი წაუყენა – იმუქრება შიმშილით თვითმკვლელობით**



„მე დავუშვი შეცდომა ცხოვრებაში, როდესაც თავი არ მოვიკალი და ჩემი თავი თავადვე არ გავასამართლე“, – განაცხადა ბოსნიელი სერბების ყოფილმა სამხედრო ლიდერმა. ის მოითხოვს ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას, ნებართვას შეხვდეს ოჯახს და ადვოკატს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უარს იტყვის წამლის, საკვებისა და წყლის მიღებაზე.

* * *



**აბრამოვიჩის იახტამ გააღიზიანა ვენეციის მცხოვრებლები და მერი: დაე იგი სხვა სხვა ადგილას გააჩეროს**

ვენეციის მერმა განაცხადა, რომ მოტორიანი ხომალდების მოძრაობა წმინდა მარკოზის ყურეში დროა შეიზღუდოს. ერთ-ერთი კაფეს თანამფლობელმა იახტის იქ ყოფნას „იდიოტობა“ უწოდა: ვენეციაში იმდენი ლამაზი ადგილია, სადაც შეიძლება დასახლდე, მაგრამ არ არის საჭირო იქ მიათრევდე შენს სახლს თავად. მაგრამ აბრამოვიჩს არ გამოაგდებენ, ის ასპონსორებს თანამედროვე ხელოვნების გამოფენას.

* * *

**ამერიკის უპილოტო თვითმფრინავებმა დარტყმა მიაყენეს მიზნებს პაკისტანში: 14 კაცი დაიღუპა**



ორი რაკეტა მოხვდა შენობას, რომელიც სამხრეთი ვაზერისტანის ქალაქ ვანადან 10 კილომეტრშია. ადრე ანალოგიური ავიადარტყმის შედეგად განადგურდა „ალ-ყაიდას“ ტერორისტული ქსელის ერთ-ერთი მეთაური ილიას კაშმირი, რომელიც უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთ შესაძლო მემკვიდრედ ითვლებოდა.

* * *



**ფიზიკოსებმა შეძლეს შეეყოვნებინათ ანტიმატერია მთელი 16 წუთით**

ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკისთვის ეს მთელი საუკუნეა. მაგრამ „სერნის“ სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ანტიწყალბადის ატომებს ისინი ახლა აფიქსირებენ რეგულარულად – მალე შეიძლება გადავიდნენ მასთან ექსპერიმენტებზეც კი.

* * *

**მეცნიერებმა გახსნეს ევროპაში ნაწლავის ინფექციის საიდუმლოება**



ბაქტერიის ახალი სახეობის წყარო გახდა პარკოსანი მცენარეების წამონაზარდები ირცენის ოლქში ჰამბურგის მახლობლად: აქ კულტივირებულია ლობიო, სოია, ოსპი და ბარდა. ეს ფერმა უკვე დაიხურა, პროდუქცია ამოღებულია. თავად ბაქტერია შეიძლება იყოს ორი სხვადასხვა ნაწლავის ჩხირის შეერთების შედეგი.

* * *



**კანადაში წყალქვეშა ნავი ფსკერს დაეჯახა: ორი მეზღვაური დაიჭრა**

ინციდენტი მოხდა ნიუტკა-საუნდის სრუტეში. წყალქვეშა ნავი დაეჯახა ფსკერს მანევრების დროს წყალქვეშ. მის ბორტზე ეკიპაჟის 49 წევრი იყო.

* * *

**აშშ-ში დაამუშავეს სამი პრეპარატი, რომლებიც კანისა და მკერდის კიბოს მკურნალობის იმედს იძლევიან**




ამის შესახებ გამოაცხადეს ჩიკაგოში მიმდინარე კლინიკური ონკოლოგიის ამკერიკული საზოგადოების ყოველწლიურ ყრილობაზე. ექიმების ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო პრეპარატმა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს უჯრედში გენეტიკურ მუტაციაზე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ეკონომიკის პარადოქსები

***სწორედაც** რომ ასეა, საქართველო მთელ დედამიწის ზურგზე ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სხვებისგან გამორჩეულად, ეკონომიკა, წარმოება, მეურნეობის ცალკეული დარგები დიდი სახელმწიფოებრივი დაგეგმვისა და სახელისუფლებო ჭაპანწყვეტის გარეშე ისე ამოხეთქავენ ხოლმე მიწის სიღრმიდან, როგორც ვულკანები ან გეიზერები შორეულ ისლანდიაში. ამიტომაც ოდნავადაც არავის გაკვირვებია ქვეყნის ახალგაზრდა პრემიერის ნიკა გილაურის ენა-პირით ამ ორიოდე დღის წინათ „გაჟღერებული“ სენსაციური ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველოსთვის თურმე ნომერ პირველი საექსპორტო პროდუქცია გახლავთ ავტომობილები(!). მიედინება და მიედინება უწყვეტ ნაკადად საქართველოდან „მერსედესები“, „ვოლვოები“, „ფორდები“, „ოპელები“, უახლესი მარკის „აუდები“ და „ჯიპჩეროკები“ სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში, დაღესტანში, მთელ კავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებშიც კი.*

# საქართველოში „საავტომობილო ინდუსტრიამ“ ამოხეთქა!



საიდან გაედინება „საქართველოში წარმოებული და საექსპორტოდ გამზადებულ ავტომობილთა კოლონები, არ იკითხავთ? აქვე, დედაქალაქთან სულ ახლოს, რუსთავის გზატკეცილის გვერდით ახლახან გახსნილ „კავკასიის საავტომობილო ცენტრიდან“, საიდანაც ქვეყნისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური სასწაულის თაობაზე ტელეეთერით დიდი სიამაყითა და გაბრწყინებული სახით გვაუწყებდა თავად პრემიერი ნიკა გილაური, რომელსაც, ეტყობა, არ ახსოვდა ან არ იმჩნევდა (ზუსტად ვერ გეტყვითძ, რომ უცხოეთის ბაზარზე ნაყიდი ავტომობილების ასეთი წარმატებული „ექსპორტის“ პარალელურად, საკუთარი ბაზრის 70 პროცენტი უკავია იმპორტულ პროდუქციას, თურქეთიდან, სომხეთიდან, ირანიდან შემოტანილ კარტოფილს, პამიდორს, ჭარხალს, სტაფილოს, ნიორს (ამ უკანასკნელის ფასმა 10 ლარს მიაღწიაძ და სხვა პროდუქტებს, რომლებსაც საქართველოს კუდით რიკამდე გატყავებული მოსახლეობა მამასისხლად იძენს.

რა გიხარია შე შობელგაჭიფხულო (როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიანძ, პრემიერი ხარ თუ პრეზიდენტი, ის, რომ ქართველს საკუთარ ბოსტანში პამიდორი და ნიორი ვეღარ მოუყვანია, თუ ის, რომ უცხოეთში ნაყიდი ავტომობილები საკუთარი წარმოებისა გგონია და იმის მაგივრად, რომ რეექსპორტი დაარქვა, ექსპორტად ასაღებ?! თუმცა, ეშმაკობა რომ არ გავუგოთ, თავადვე იეშმაკეს და როგორც ტელეეკრანზე გამოტანილი დიაგრამიდან ჩანს, „საექსპორტოდ“ გატანილი ავტომობილების ერთი ნაწილი ექსპორტს მიაკუთვნეს, ხოლო მეორე ნაწილი — რეექსპორტს.

ოინბაზობაც ამას ჰქვია! თუ ოინბაზები და თითლიბაზები არ არიან, მაშინ იქნებ აგვიხსნან, რა ნიშნის მიხედვით დაახარისხეს ბაზარზე გატანილი ავტომობილები ცალკე ექსპორტად და ცალკე კიდევ — რეექსპორტად? აბა მიდით და გაგვარკვიეთ, გელოდებით...

**ასეა თუ ისე, უნდა ვაღიაროთ, „საავტომობილო ინდუსტრიაში“ ნაცების პოლიტიკამ „გაამართლა“, რაც იქიდანაც ჩანს, რომ თუ წინა ხელისუფლების დროს ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის მოცულობაში წამყვანი ადგილი ჯართს ეკავა, ახლა ის ავტომობილებმა ჩაანაცვლა. „საქსტატის“ „დაზუსტებული“ მონაცემებით, საქართველოში, ერთი წლის წინანდელთან შედარებით, ექსპორტი 40 პროცენტით გაიზარდა, რაშიც ლომის წილი ავტომობილებისაა. რა ვუყოთ, რომ საგარეო სავაჭრო ბალანსი კვლავ უარყოფითია და მან საანგარიშო პერიოდში 1,258 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი შარშანდელზე 35 პროცენტით მეტია.**

ქვეყნის „ავტოინდუსტრიის“ ფონზე კიდევ უფრო პირქუშად გამოიყურება სოფლის მეურნეობა, რომელიც ხელისუფლების არაპროფესიონალიზმმა თუ დაუდევრობამ (უფრო ორივემ ერთადძ დაქცევამდე მიიყვანა. მხოლოდ რამდენიმე ციფრს დავასახელებ, რომლებშიც დამარხულია ქართული სოფლის კეთილდღეობა.

**2010 წელს საქართველოში მთლიანმა შიდა პროდუქტმა 20 მილიარდ 791 მილიონ ლარს მიაღწია. აქედან სოფლის მეურნეობის წილად მოდის მხოლოდ 1 მილიარდ 518 მილიონი ლარი, ანუ მშპ-ის მხოლოდ 7,3 პროცენტი, მაშინ, როცა სოფლელთა მცხოვრებთა რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 47 პროცენტს შეადგენს.**

**ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა მიმდინარე ფასებში 79 პრცენტით მოიმატა. ამავე ინტერვალში სოფლის მეურნეობის წილმა მის სტრუქტურაში 2-ჯერ იკლო (14,8-დან 7,3 პროცენტამდე), ჯამურ ფულად გამოსახულებაში კი 12 პროცენტით ( 1,7 მილიარდიდან 1,5 მილიარდამდე) შემცირდა.**

**5-წლიან მონაკვეთში სოფლებში უმუშევრობამ ქალაქთან შედარებით 5-ჯერ და მეტად იმატა. რაც შეეხება უმუშევრად დარჩენილებს, მათი რიცხვი სოფლად თითქმის 9-ჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ქალაქად, ამ უკუღმართ ყოფას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ საქართველოში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ 10-12 პროცენტს აკმაყოფილებს, კიდევ უფრ ნათელი გახდება, რა პირობებში გვიწევს ცხოვრება.**

**2005 წელს ქვეყანაში 434 მილიონი დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქცია შემოვიდა, 2010 წელს კი ამ მაჩვენებელმა უკვე 1 მილიარდს გადაჭარბა, ანუ აგროპროდუქციის იმპორტმა თითქმის 2,5-ჯერ იმატა, რაც ცხადია მოსახლეობის კეთილდღეობის შესუსტების ხარჯზე ხდება.**

ბოლო 3 წლის მანძილზე საქართველოს აგრარულ სექტორში შემოვიდა მხოლოდ 45,6 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ანუ ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 1,08 პროცენტი. საბანკო სექტორის მიერ სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი სესხების მოცულობა საერთოდ გაცემული სესხების 1 პროცენტია(!ძ. ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში ხორცის წარმოება შემცირდა 3,3-ჯერ, რძისა — 1,3-ჯერ კვერცხისა — 2-ჯერ, მატყლისა — 3,6-ჯერ.

ალბათ ასეთ დროს ამბობენ ხოლმე — კომენტარი ზედმეტიაო, თუმცა კახეთის ცაზე მფრინავი სააკაშვილის ამასწინანდელ ატრუებულ სახეს თუ გაიხსენებთ, რაც სამომავლოდ ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის წარმატებულ მოსავლიანობას უკავშირდება, შეუძლებელია ნამუსი სულ მთლად გაიქრო და პრეზიდენტის კიდევ ერთი დაპირება-ტყუილი არ იწამო. ახლაო, გვაუწყა ახალი იდეით ამჩატებულმა სააკაშვილმა, წარსულ წარმატებებზე ლაქლაქს უნდა მოვეშვათ (თითქოს მთავრობა თავჩაღუნული მუშაობდეს და ხალხი ლაქლაქებდესძ და ქვეყნისთვის უპირველესი სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეს — სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას შევეჭიდოთო, თანაც ისე, რომ არც ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი არ დაგვრჩესო. პრეზიდენტის ნათქვამს თავის კანტურით ადასტურებდა და შიგადაშიგ საკუთარ აზრებსაც აფრქვევდა მინისტრი კვეზერელი, რომელიც დედალ-მამალი ძროხების კომპეტენციაში იმდენად ვერა, მაგრამ სოფლის აგრარულ აღმშენებლობაში, ეტყობა, მაგრად ერკვევა(!ძ.

თუმცა პრეზიდენტი იმდენად იყო მოხიბლული და აღტაცებული საკუთარი იდეის ხორცშესხმით, რომ არა მგონია იმ წუთში სოფლის მეურნეობაში კადრების მონაცვლეობაზე ეფიქრა. ეს არა, მაგრამ სიმინდის ხვავიანი მოსავლის დასაბინავებლად საშრობების მშენებლობასა და ჭარბი მარცვლის საექსპორტოდ გატანაზე კი ილაპარაკა, მერე ისიც დაამატა, კახეთის მიწა ისეთი ლონიერია, თუ ჭკუით მოვიქცევით და მოვლა-პატრონობას არ მოვაკლებთ, ყურძენთან ერთად, ზეთისხილისა და სიმინდის ისეთ მოსავალს მივაღწევთ, მსოფლიოს განვაცვიფრებთო. ისიც არ დაუმალავს, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც ამიერიდან აგრარულ მთავრობად გარდაიქმნა, სულ მოკლე პერიოდში კახეთს ქვეყნის ყველაზე წარმატებულ რეგიონად აქცევსო.

მოკლედ, როგორც უყვარს ხოლმე მიშას, გარეკა და გარეკა, თანაც იმდენად შორს, რომ ეს შენი „ავტოინდუსტრია“ და მანქანების ექსპორტ-რეექსპორტი სულაც არ გახსენებია. თუმცა რად გინდა, აგერ არ არის ავტოექსპორტზე გადამჯდარი პრემიერი ნიკა გილაური? სადაც პრეზიდენტმა მთავრობა საჭიროების მიხედვით აგრარულ მთავრობად გარდაქმნა, პრემიერს ამავე მთავრობაში ავტოინდუსტრიული სექტორის შექმნა რატომ გაუჭირდება? ანდა სულაც ორივე მთავრობა რომ გვყავდეს — აგრარულიც და ინდუსტრიულიც, ვითომ რამე დაშავდება? ვინ იცის, ერთ უქნარას (მთავრობასძ მეორე უქნარა რომ აეკიდება, შეიძლება ხელისუფლებიდან გატანაში ერთმანეთს წაეხმარონ კიდეც.

**ოთარ ხუციშვილი**

## ფიქრები

# ჟამი უჟამობისა

**ვდგავარ სარკმელთან, დანისლულ მინას შუბლმიბჯენილი. არცთუ შორს ილანდება ზებრასავით აჭრელებული გორა-ქედები. წინა დილის თოვლი დამეულმა წვიმამ თან გაიყოლა, ისევ ქართული მზისა და მიწის მადლი, სითბო მიწამ კეთილსინდისიერ მევანაბრესავით რომ შემოინახა, იმიტომაც ბარბაცებს ზამთარი, ფეხს ძლივს იკიდებს. იცოცხლეთ, კარგი ზამთარი საჭირო კი არა, აუცილებელიც არის. ოღონდ, თუ შინ თბილა, საკუჭნაოში თაგვი შიმშილით თუ არ გიკვდება, თოვლიც ხომ ბუნების მადლი და სიკეთეა. კი, ბატონო, მაგრამ...**

**ახლახან ერთი ახლობელი მოვისაკლისე. კარზე მივადექი. ღილაკს თითი დავაჭირე. ზარმა ხმა არ გაიღო. დავაბრახუნე.**

**მასპინძელი, ახალგაზრდა კაცი, ისე შემომხვდა, თითქოს წინ მიცვალებული ესვენა. აგერ, ორი კვირაა, შუქი გამომირთეს, ახლა, ალბათ, გაზსაც გადამიკეტავენო, შემომჩივლა.**

**მრავალშვილიან ოჯახში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.**

**წითელდიპლომიანი, ათობით უნიკალური გამოგონების ავტორი უმუშევარი რომ დარჩა, სამოთახიანი ბინა გაყიდა, ბავშვებით სიდედრს შეეკედლა, ბინის გაყიდვით აღებული ფულით კი ცოლი იტალიაში მიავლინა.**

**— ის ბებერი, ჩემი ცოლი რომ უვლიდა, მომვკდარა. ახლა ისიც უმუშევარია. ეძებს სამუშაოს, მაგრამ...**

**ულამაზეს ცოლს, ხუთი შვილის დედას, აქამდე ცივ ნიავს რომ არ აკარებდა, ვიღაც გადამთიელის მომვლელად რომ გაიმეტებს ქართველი კაცი და იქაც არ გაუმართლებს, რა უნდა ქნას?!.**

**თვალზე ცრემლი რომ მოადგა, გამერიდა, ახლავე მოვალო... მეც დავფაცურდი... ჯიბიდან წინადღით აღებული პენსიიდან ხუთი ათიანი ამოვაძვრე და საფერფლის ქვეშ ამოვდე ჩუმად.**

**ესეც შენ, მიშას აყვავებულო საქართველო!**

**მეგონა, გული გამისკდებოდა...**

**არადა, ოდესღაც ზამთარი ისე გვიხაროდა, როგორც წლის სხვა დრო...**

**უცებ თითქოს რაღაცამ იხუვლა. მინებს ქარი მოასკდა და თოვლის ფანტელებიც მოიყოლა. ურიცხვი თეთრი ფრთაფარფატა პეპელა აიშალა. რამდენიმე წამში ისევ გადაიბარდნა ყველაფერი.**

**ოჰ, ეს მარტი, ჩვენებური მირკანი... არადა, რა მადლიანი სახელების შერჩევა იცოდნენ ჩვენმა ნეტარმა წინაპრებმა.**

**ფანჯარას ვერ ვცილდები. ამ ფიფქებივით ათასი ფიქრი მიტრიალებს თავში. ასე თუ გაგრძელდა თოვა!..**

**— ღმერთო, შენ უშველე ჩემს ხალხს! — პირჯვარი გადავიწერე. რატომღაც დასავლეთით, ცის კიდურისაკენ გამეპარა მზერა.**

**ჰოი, საკვირველებავ! ღრუბელი ჯერ შეთხელდა, მერე გაიხსნა და გაცრეცილმა მზემ გამოანათა. თითქოს გვანუგეშა, აქ ვარო...**

**დალოცვილია ქართული მზე!**

**ისე, კაცმა რომ თქვას, ეს უჟამობა, თოვლ-ყინულიანი ცრიატი დღეები, იმ უბედურებათაგან, რაც გვჭირს, ერთადერთია, მიშას პრეზიდენტობას და მის ხელისუფლებას რომ ვერ დააბრალებ!**

**თუმცა, დაბეჯითებით ვერც ამას ვიტყვი...**

**გივი ჯახუა.**
11 მირკანი, 2011 წ.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

# საოცარი ქვეყანა



*„ერი, რომელიც გულგრილია თუნდაც მცირედი მოვალეობისადმი, მცირედი სამართლიანობისადმი, მცირედი სიმართლისადმი, ერი, რომელიც არ აღიარებს ადამიანურ ღირსებას, რომელიც საერთოდ არ სცნობს თავისუფლებას, არც თავისუფალ აზროვნებას სცნობს.“*

*ა.ს. პუშკინი*

***ამა წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 22 აპრილის №76-ში გამოვაქვეყნე სტატია „ჩემი უბედური თაობა“, სადაც განიხილებოდა კოლაბორაციონიზმის არსი, ვინაიდან სწორედ ჩემი თაობის (1944-55 წლებში დაბადებულნი) უმეტესი ნაწილი მარგინალურად იხრება კოლაბორაციონიზმით დაკავებული პოლიტიკოსებისკენ. ვფიქრობ, დადგა დრო კიდევ ერთხელ შევახსენო ჩემს თაობას, თუ რას წარმოადგენდა და დღესაც რას წარმოადგენს რუსეთი, რომელსაც ფეხქვეშ ეგებიან კოლაბორაციონისტები.***

დღეს რუსეთი ინერციით „განვითარებადი“ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, თუმცა მას „განვითარებადს“ ძნელად თუ ვუწოდებთ. ზოგიერთი „განვითარებადი“ ქვეყანა მართლაც განიცდის მოდერნიზებას (ეკონომიკურს ან მხოლოდ პოლიტიკურს)ძ. რუსეთის მიმართ კი ამ კუთხით ბევრი კითხვა ჩნდება... საერთაშორისო ურთიერთობები, თანამედროვე გლობალური ურთიერთდამოკიდებულება, ზრდის დესტაბილიზაციურ გავლენას ზოგიერთი ე.წ. „განვითარებადი“ ქვეყნების მხრიდან. რუსეთი, რასაკვირველია, აქაც ლამობს პირველობას.

**საოცარი ქვეყანაა — ყველაფერში აქვს პირველობის პრეტენზია, დესტაბილიზაციის უნარშიც კი.**

არცაა გასაკვირი. რუსეთისთვის XX საუკუნე იყო მარცხის და წაგებების ხანა. ეს საუკუნე დაიწყო და დასრულდა სოციალური, იდეური და გეოპოლიტიკური კატასტროფებით; ხელისუფლების, წყობილების ცვლით; უზარმაზარი ტერიტორიების და რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის დაკარგვით.

1917-1918 წლები — „ცხელი“ ომიდან თავის დაღწევის საფასური; 1991-ში — „ცივი“ ომიდან გამოსვლის. 1917-ში და 1991-ში უბრალოდ კი არ დაიმსხვრა რუსული ხელისუფლების ორი ისტორიული სტრუქტურა — თვითმპყრობელობა და კომუნიზმი, არამედ ჩაიშალა საზოგადოებრივი განვითარების ორი სხვადასხვა გეგმა, მოდერნიზების ორი სხვადასხვა ნაირსახეობა: თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიული და კომუნისტური. 1998-ში განიცადა მარცხი „ლიბერალურ-ანტიკომუნისტურმა“ პროექტმა.

ამდენად, საბოლოო ანგარიშით, რუსეთს არაფერი გამოუვიდა, რასაც კი შეეცადა.

ამასთანავე, მსოფლიო ისტორიაში რუსეთი შევიდა, როგორც ქვეყანა, რომელიც მუდამ ილვწოდა საკუთარი საზღვრების გასაფართოებლად, რაც არც ისე გასაკვირია, მაგრამ სრულიად გაუგებარია, საზღვრების გაფართოებასთან ერთად რატომ არასოდეს უცდია კეთილმოეწყო ქვეყანა? ამიტომაც, იგი ყოველთვის ახსენებდა უცხოელებს მიტოვებულ და გაპარტახებულ თავლას — აღუძრავდა მათში შიშის გრძნობას.

**საოცარი ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს ისტორიაში მოიაზრება როგორც სივრცე, რომელსაც ადამიანები გაურბოდნენ.**

გასული საუკუნის 20-იან წლებში რუსი თავადაზნაურობის, ოფიცრობის, მეცნიერების თუ შემოქმედებითი წრეების პარიზსა თუ ბერლინში, კონსტანტინეპოლსა თუ ხარბინში გამოჩენა ბევრს აღუძრავდა მცდარ აზრს, რომ ეს ყოველივე დაკავშირებული იყო ოქტომბრის გადატრიალებასთან, რაც სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. ემიგრაცია გაცილებით ადრეულ ხანაში დაიწყო. მარტო 1861-დან 1915 წლების ჩათვლით რუსეთი მიატოვა 4.5 მილიონმა ადამიანმა; 1939-47 წლებში — 8-10 მილიონმა; 1948-1990 წლებში — 1.1 მილიონმა.

1970-იან წლებში ემიგრაცია არ აღწევდა 10-15 ათას ადამიანს წელიწადში, ზოგჯერ მატულობდა 30-40 ათასამდე. გარდატეხა მოხდა 1988 წელს. 1987 წელთან შედარებით, როდესაც ემიგრაცია გაიზარდა 2.5-ჯერ და მიაღწია 108 ათასს, 1988-ში ემიგრანტების ნაკადმა მიაღწია 235 ათასს, 1990-ში კი აღწევდა 452 ათასს. უკუნაკადი კი განუზომლად მცირე იყო; შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით საბჭოთა კავშირში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოდიოდა არა უმეტეს 2 ათასისა წელიწადში.

შევხედოთ რუსეთის ფედერაციიდან გაქცეულთა რაოდენობას მიმღები ქვეყნების მონაცემების საფუძველზე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე და მისი დაშლის შემდეგ: გერმანიაში — 674.462; ისრაელში — 195.071; კანადაში — 17.538; ამერიკის შეერთებულ შტატებში — 110.137; ფინეთში — 14.843. სულ 1.012.051.

**საოცარი ქვეყანა, ყველაფერში პირველობას ჩემულობს, უცნაურ წამოწყებებშიც კი...**

უეცრად, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე რუსეთში, მიუხედავად ძველი იდეოლოგიური ტრადიციის ემიგრანტების მიმართ აგრესიული განწყობილებისა, მოსკოვი ალაპარაკდა „საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისთვის დახმარების გაწევაზე“.

ვისაც ესმოდა საბჭოთა ხანის „ეზოპეს ენა“, ხვდებოდა, რომ საქმე დახმარებაში კი არ იყო, არამედ მათი ეკონომიური და ინტელექტუალური პოტენციალის ექსპლუატირებაში. კრემლში ვიღაცას მოელანდა ვითომდა საზღვარგარეთ არსებული „უზარმაზარი „რუსული დიასპორები“, რომლებიც წარმომავლობით ყოველთვის არ იყვნენ რუსული ფესვების მატარებელნი, მაგრამ კულტურულ თუ სააზროვნო სისტემაში თავს მაინც რუსულ საწყისს მიაკუთვნებდნენ.

მოლანდებასთან ერთად დაიბადა „ნათელი იდეა“ გამოეყენებინათ ისინი ექსპანსიის იარაღად. საამისოდ მომარჯვებულ იქნა ჩვეული კომუნისტური სტილისტიკა, ვითომდაც ემიგრაციას ესაჭიროება მეტროპოლიის ძლიერი მხარდაჭერა და რომ გაყოფილ რუს ერს (?!ძ, მის ერთიან ენას, მის კულტურას და ზოგადსაკაცობრიო თანამშრომლობის მოსაზრებას უნდა მიემატოს ეკონომიური ასპექტიც.

ეს წამოწყება ქვეყნიდან გაქცეულთათვის ხაფანგი აღმოჩნდა მათი „რუსი ხალხის და დიდი რუსეთის“ ნაწილად გადაქცევად. მოსკოვმა დიდსულოვნად აპატია ემიგრანტებს სამშობლოს მიტოვება და დაიწყო მათი „სახლში“ დაბრუნებაზე დაყოლიება. არც ისე დიდი ხნის წინათ ამაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი როგოზინის და ჟირინოვსკის თანაგუნდელები და თვით პუტინი. თუმცა ემიგრანტების წრეებში ამაზე არავის სერიოზულად არ უფიქრია.

**არა, რუსეთი რომ საოცარი ქვეყანაა, ამის უარყოფა გაჭირდება**, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით იმას, რაც მეტად მკაფიოდ შეინიშნება გარკვეულ საზოგადოებრივ წრეში. მხედველობაში მაქვს ე.წ. „რუსული სამყაროს“ შექმნა, რომელიც ჩაფიქრებულია ადამიანთა ერთგვარ „ეთნოკულტურულ ერთობად“, რაც გულისხმობს რუსულად აზროვნებას; ცნობიერად ან ქვეცნობიერად საკუთარი თავის პოზიციონირებას რუსული კულტურის და ძირითადი მართლმადიდებლური ფასეულობების მოაზრებას ერთიან ჩარჩოში.

ეს „სიახლე“ მოგვაგონებს გერმანულენოვანი ხალხების ჰიტლერისეულ გაერთიანებას „დიადი გერმანიის“ ეგიდით. იმ განსხვავებით, რომ „დოიჩლანდ უბერ ალლეს“-ის („გერმანია უპირველეს ყოვლისა“ძ მაგივრად მივიღეთ „Россия превыше всего“ („რუსეთი უპირველეს ყოვლისა“ძ. ამასთან დაკავშირებით დროულია მცირე ტერმინოლოგიური ექსკურსი. კარგადაა ცნობილი ტერმინები: „პანგერმანიზმი“, „პანისლამიზმი“, „პანსლავიანიზმი“ და მისთ. ბოლო წლებში რუსეთში გამოვლენილი სხვადასხვა იმპერიული ინიციატივები ზემოაღნიშნულის ჩათვლით წარმოგვიდგება უაღრესად აგრესიულ „პანრუსიზმად“.

**საოცარი იდეების და გასაკვირი მოსაზრებების ქვეყანაა რუსეთი...**

რაც უფრო მეტად შორდება ეს სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე დემოკრატიულ სამყაროს, მით უფრო მატულობს ამ ქვეყნის ელიტარულ წრეებში ანტილიბერალური განწყობა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რუსეთის საზოგადოების ზედა ფენისთვის დამახასიათებელი სამი თეზისი:

— რუსული ცივილიზაციის უნიკალურობაზე;

— რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოს განსაკუთრებული დომინირების მნიშვნელობის შესახებ;

— კოლექტიურ ფასეულობებზე ორიენტირებული რუსული მენტალიტეტის შესახებ.

**საოცარი ქვეყანაა — გამუდმებით ლიდერობას ჩემულობს საეჭვო ექსპერიმენტებშიც კი...**

ყველა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ 1917 წელს რუსეთმა ზედმიწევნით ალასრულა ბისმარკის დანაბარები, რომელმაც თქვა რომ „სოციალიზმი — კარგი იდეაა და მისი მოსინჯვა ღირს იმ ქვეყანაში, რომელიც არაა შესაცოდი, მაგალითად რუსეთში“. შეჰყო თავი ამ ისტორიულ ექსპერიმენტში „დედა რუსეთმა“ და აი, ინებეთ მისი რეალური ფასეულობები: საერთო უფრო მაღალია პირადულზე; სამართლიანობა — კანონზე; მომავალი უფრო მეტია აწმყოზე და წარსულზე. ეს ფასეულობები განაპირობებენ ყველაფერს...

პუტინის ძალაუფლებაში მოსვლიდან, შემდგომ მისი გადასვლიდან „რეგენტობაში“, ყოველივე რაც ამ პერიოდში ხდებოდა და ხდება დღესაც (რუსეთის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში), ცხადყოფს რომ პუტინ-მედვედევის რეჟიმი არის ამ ქვეყნის შემდეგი დახასიათება:

**რუსეთი — საბჭოური საზოგადოებაა;**

**რუსეთი — საბჭოური აზროვნებაა;**

**რუსეთი — საბჭოური იდეოლოგიაა, საბჭოური პროპაგანდით;**

**რუსეთი — საბჭოური ჯარია, საბჭოური შეიარაღებით და ომის წარმოების საბჭოური ტაქტიკით;**

**რუსეთი — ის ქვეყანაა, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი და რომელიც რეალურ საშიშროებას წარმოადგენს;**

**რუსეთი — ის ქვეყანაა, რომელიც ცდილობს საბჭოთა კავშირის აღორძინებას სამხედრო გზით;**

**რუსეთი — ის ქვეყანაა, რომლისთვისაც გენეტიკურად უცხოა და მიუღებელი დასავლეთ ცივილიზაციის ფასეულობები.**

**საოცარი ქვეყანაა: უაზროდ გამბედავი; ამპარტავანი; პათოლოგიურად თავდაჯერებული.**

მიუფურთხებია რუსეთს გერმანელ სოციოლოგთა გამოკვლევებისათვის, სადაც გამოკითხვებმა ცხადყვეს, რომ ბოლო ასი წლის განმავლობაში ყველაზე არაპოპულარული პოლიტიკოსები იყვნენ ელცინი და გორბაჩოვი, ხოლო პოპულარულები პუტინი, სტალინი და ბრეჟნევი.

მიუფურთხებია რუსეთს საკუთარ მეცნიერთათვისაც კი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ინფორმაციის დინამიური თეორიის საფუძველზე გაკეთდა რუსეთისთვის გეოპოლიტიკური პროგნოზი 2030 წლისთვის, სადაც დაიდო დასკვნა: **თუ საქმე ისე წავა, როგორც ახლა მიდის, ინერციულად, მაშინ გარედან ჩარევის გარეშეც მოსალოდნელია რუსეთის დაშლა სხვა ქვეყნების გავლენის ზონებად.**

თუ რუსეთს საკუთარ მეცნიერთათვის მიუფურთხებია, მაშინ რაში სჭირდება ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რა თქვა ცივილიზაციური მიდგომის ერთ-ერთმა წამყვანმა თეორეტიკოსმა, ისტორიკოსმა არნოლდ ჯოსეფ ტოინბიმ, რომელმაც აღწერა რუსეთის დაშლის რელიეფური ნაკვთები 2020 წლისთვის... რა იცოდა ტოინბიმ, თუ რა თქვა საკუთარი ქვეყნის ხალხზე შმელევმა... მან კი დაწერა: „ხალხი, რომელსაც სძულს თავისუფლება, ეტრფის მონობას, უყვარს ბორკილები საკუთარ და სხვის ხელებსა და ფეხებზე, ჭუჭყიანი ფიზიკურად და მორალურად... რომელიც მზადაა ყველას და ყველაფრის დასათრგუნად“.

**საოცარი, უნიკალური ქვეყანაა. ქვეყანა, რომელიც დარჩება კაცობრიობის მეხსიერებაში, როგორც ცივილიზაციური კაზუსი.**

რუსეთი საბჭოური ქვეყანაა, საბჭოური აზროვნებით და საბჭოური ცხოვრების წესით. საინტერესოა, რა დევს ამ მშრალი ფაქტების მიღმა, რა არის ის მამოძრავებელი იმპულსი, რომელიც იწვევს რუსეთის მიერ აშკარა ისტორიულ-პოლიტიკურ შეცდომებს და საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფას?

ცნობილია — ქვეყანას მართავს სახელმწიფო ხელისუფლება, ხელისუფლებას წარმოადგენენ კონკრეტული ადამიანები, ხოლო მათ მართავს გონება, ინტელექტი... ყოველივე ამის მამოძრავებელი ძალა კი ქვეცნობიერი მენტალობაა — ადამიანის მენტალიტეტი.

ზოგადად მენტალიტეტი მრავლის მომცველი ფენომენია, მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკის განხილვისას, ვფიქრობ, საკმარისია ყურადღება გამახვილდეს ერთ მენტალურ თვისებაზე, რომელიც ამ ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ფონზე, ახალშეძენილი თვისებაა, რომელმაც 1917 წლიდან ეროვნული მენტალობა ძირფესვიანად გარდაქმნა.

თუ ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ე.წ. „რუსული ხასიათი“ დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსთვის იყო „უცნაური, ძნელად ამოსაცნობი“ და ამასთანავე, რამდენადმე საინტერესო და მიმზიდველი, ბოლშევიზმის „გამეფების“ შედეგად ამ ხასიათმა განიცადა უცნაური მეტამორფოზები, რომელთა შედეგად სრულიად გაუქრა მიმზიდველობა — საბჭოებმა „პრეზენტაციის“ სახით მოუვლინეს სამყაროს „ახალი ადამიანი“ მანამდე ძნელად წარმოსადგენი თვისებებით: ცინიზმით, უპასუხისმგებლობით, სისასტიკით, ცივილიზებული ნორმებისაგან მოწყვეტილი ვოლუნტარიზმით.

**მალხაზ ჟვანია.**

**(დასასრული იქნება)**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

# განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიის შემდეგი სახელობითი პრემიების მისანიჭებლად:**

1. **ნიკოლოზ მუსხელიშვილის** სახელობის პრემია – მათემატიკის და მექანიკის დარგში;
2. **ივანე ბერიტაშვილის** სახელობის პრემია – ფიზიოლოგიის დარგში;
3. **სერგი დურმიშიძის** სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში;
4. **ლეონარდე დეკაპრელევიჩის** სახელობის პრემია – კულტურულ მცენარეთა გენეტიკასა და სელექციის დარგში;
5. **იოანე პეტრიწის** სახელობის პრემია – ფილოსოფიისა და თეოლოგიის დარგში;
6. **გიორგი ჩიტაიას** სახელობის პრემია – საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის დარგში;
7. **თინათინ წერეთლის** სახელობის პრემია – სამართალმცოდნეობის დარგში;
8. **ნიკოლოზ ბერძენიშვილის** სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის დარგში;
9. **გიორგი ნიორაძის** სახელობის პრემია – არქეოლოგიის დარგში;
10. **აკაკი შანიძის** სახელობის პრემია – ქართული ენისა და ფილოლოგიის დარგში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს, თვალსაჩინო მოღვაწეებს თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომისათვის ანიჭებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სახელობის პრემიებს.

პრემიებს ანიჭებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო მეცნიერების დღესთან (10 ნოემბერი) დაკავშირებით.

პრემიის მოსაპოვებლად, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები.

კოლექტიურ ნაშრომებში პრემია მიეცემა ხელმძღვანელს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია და აკადემიის საექსპერტო კომისია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იქნეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში, ან ცალკეულ პირთა მიერ.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები, მაგრამ გამოცემული არაუგვიანეს 6 თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა პრემია, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, უწყების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეულ პირთა მიერ.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა (წარწერით „___________________________ სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“): (პრემიის დასახელება)

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერებისა და ქვეყნის განვითარებისათვის;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო შრომათა, აღმოჩენათა, გამოგონებათა ნუსხა, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

**მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე; თბილისი, რუსთაველის გამზ., № 52, ოთახი 311.**

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 99-00-52.**

## თავს ნუ ვიტყუებთ!

# ჭეშმარიტების ძიება ბეწვის ხიდზე გასვლაა

**ამ ბოლო შვიდ წელიწადში, სწორედ იმ დროში, რაც ახლანდელი ხელისუფლება გვყავს, ბევრი უცნაური რამ მოხდა და ხდება. ვერ ვიტყვით, რომ ელექტროშუქი არა გვაქვს (ვილაცები სულ ელექტროშუქს გვაყვედრიან), მაგრამ უშუქობაზე გაცილებით მეტი სიბნელეა ჩამომდგარი ჩვენს ცხოვრებაში და სულებშიც... სიბნელეა აქედანაც და იქიდანაც. თუ რამ გაანათებს, ეს ავად აბრიალებული ცეცხლია მხოლოდ, ამ ცეცხლში ვიწვებით ხან აქედან, ხან იქიდან, ვიწვებით ორივე მხრივ და უბედურება ის არის, რომ ეს ორივე მხარე (ოპოზიცია-პოზიციას ვგულისხმობ) საქართველოა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არც აშენდა, არც აყვავდა, არც გაიზარდა, პირიქით, დაპატარავდა კიდეც.**

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ კარგად გვაქვს საქმე, მაგრამ ბევრი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მაინც იმას გაიძახის, რა კარგად ვართ, განათლების სისტემაში, ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმებით წინ მივიწევთ და ბევრ დემოკრატიულ ქვეყანასაც გავუსწარითო... ამ მიმართულებით, ესე იგი, რეფორმების ქება-დიდებით, ახლა რომ რაღაც უცნურ სიტყვას „გაპიარებას“ეძახიან, მართლაც ისე კარგად გვაქვს საქმე, დავაჯერეთ ბევრი უცხოელი, ამას რას მივაგენითო და ჩვეულებრივი რეფორმების გადალებასაც კი აპირებენ. მაგრამ ქვეყანა ხომ ხალხისაგან შედგება, წინ წასული და წელში გამართული ქვეყანა წელში გამართულ ხალხს ხომ უნდა ნიშნავდეს! მერე სად არის ეს ხალხი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ გამჭვირვალე შენობებში, პარლამენტისა და მთავრობის სხდომებზე, საკრებულოს თათბირებზე ვეძებოთ თუ გავიდეთ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, დავათვალიეროთ საყოფაცხოვრებო ადგილები, სასოფლო-სამეურნეო მინდორ-ველები, შევიხედოთ განაპირა რაიონებში მცხოვრებთა ოჯახებში, ბოლოს და ბოლოს, მაინცდამაინც შორსაც ნუ წავალთ, აგერ დედაქალაქის ქუჩებსაც კარგად დავუკვირდეთ, რამდენი მაწანწალა, რამდენი, უპატრონო ბავშვი, რამდენი მათხოვარი, რამდენი შავთავსაფარჩამოფარებული, უმუშევარი, მშიერი ხელგამოწვდილი ქალი და კაცი... რამდენი უსამართლობით გამწარებული, რამდენი შეუსაბამოდ მრავალციფრიანი გადასახადებითა და დაბეგვრებით დამძიმებულ-დაზარალებული... გული მოგიკვდება, თუ გაქვს ეს გული!



ნუთუ შესაძლებელია, ასეთი გასაცოდავებული ადამიანებით დასახლებულ მიდამოს წარმატებული, დემოკრატიული ქვეყანა დავარქვათ? რატომ ვიტყუებთ თავს, ვინ გვაიძულებს ჩვენი ყოფაცხოვრების ბნელი სინამდვილე მიუნჰაუზენის ზღაპრებით მოვზღანდოთ? რას მოგვიტანს ეს ზღაპრები.? ნუთუ ფიქრობს ვინმე, რომ ასეთი უცნაური ტრაბახის გზით დავიბრუნებთ ჩვენი სამშობლოს უძვირფასეს და დღემდე დაკარგულ კუთხეებს, ან იმ ათასობით ჩვენს მოქალაქეს სწორედ რომ შიმშილს, შავბნელ ცხოვრებასა და უიმედობას გაექცა საქართველოდან? ისინი ხომ არა მარტო ყურს, არამედ თვალსაც გვადევნებენ სწორედ იმ ქვეყნებიდან, რომელთა წარმომადგენლები, ახლა ჩვენი ქვეყნის გაზღაპრებული რეფორმებით აღტაცებულები (მოტყუებულები) ამ რეფორმების გადაღებაზე ოცნებობენ. რა მაცდურია ცხოვრება, ვინ სად ტყუვდება და ვინ სად!

და ვეძებ პასუხს: რატომ გავურბივართ სინამდვილეს. თვალის არიდებით, ტყუილებით და ზღაპრებით რომელი ქვეყანა აშენებულა, საქართველო რომ აშენდეს!..იქნებ სჯობდეს, ნამდვილ ცხოვრებას თვალი გავუსწოროთ, კარგად დავაკვირდეთ არსებულ გარემოს, იქნებ შევისწავლოთ მიზეზი, რატომ დაიყო საქართველოს ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი ოპოზიციურ პარტიებად, საზოგადოების რომელმა ნაწილმა როდის, სად, რისთვის და რას შეაფარა თავი... იქნებ ისიც გავიხსენოთ, რაზე ვოცნებობდით ჩვენ, ქართველები, როდესაც ერთპარტიული კომუნისტური წყობილებისგან თავის დაღწევა გვსურდა...

თუ ახლა კეთილი ცხოვრების, დემოკრატიული სახელმწიფოს, ხალხის ბედნიერების შესაქმნელად ვილეწით და სწორი გზით, სწორი მიმართულებით მივდივართ, მაშ რატომ გვჭირდება ხალხის ცემა-ტყეპა, დარბევა, საპატიმროების გადავსება, უფრო მეტიც, სისხლის ნთხევა, ადამიანების დახოცვა, ნუთუ ეს არის ის გზა, რომელზედაც ვოცნებობდით, რომელზედაც ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია დემოკრატიის აშენება?ძალადობის, შეურაცხყოფის, ქონების ჩამორთმევის, დევნისა და უსამართლობის გზა, რომელიც შენიღბული იყო ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვისა და ბრძოლის ლოზუნგით, ათეული წლების უკან არ მოვიტოვეთ? მოღალატეებიო, – მაშინაც ხომ მოღალატეებად შევრაცხეთ საქართველოს საუკეთესო ჯიშისა და გენეალოგიის წარმომადგენლები, ჩვენი მოდგმის უნიჭიერესი თაობები ამოვწყვიტეთ, რის შემდეგადაც, ათეული წლების მანძილზე ქართველი ხალხი ის ხალხი არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო. მერე, როდის-როდის გამოცოცხლდა სადღაც, მიწის ჯურღმულში მიჩქმლული ფესვები და ამოყარა ლორთქო ნერგები. არ გაგვწირა ღმერთმა და დაგვიფარა გადაშენებისაგან. მაინც იქითკენ მივდივართ, მაინც გვინდა გავანაწყენოთ უფალი და არ დავიტოვოთ საშველი? ახლაც მოღალატეებზეა აქცენტი. ძალიან ბევრი მოღალატე გვყოლია, ძალიან ბევრი. თუ მეტი არა, ნახევარი საქართველო მაინც. რატომ, რა ხდება, რა უბედურება გვჭირს. არადა, მოღალატენი და უღალატონიც სამშობლოს სიყვარულის ლოზუნგით და გულზე ხელების ბათქუნით წარმოგვიდგებიან და ზოგიერთი მათგანი სამსხვერპლოს კუნძზე თავდადებული და ყელმოღერებული , ეჭვიც არ შეგეპარება, ისე წარმოგიდგენს მზადყოფნას თავგანწირვისათვის. თავგანწირულთა ასეთი კასტა (ასეულობით თუ არა, ათეულობით ნამდვილად არიან!) აშინებს ხელისუფლებას (ასე ჩანს. ამას გრძნობს ხალხი) და ამიტომაც უფრო დაჟინებით და უფრო ხმამაღლა გაიძახიან ამ საშინელ სიტყვას, მოღალატის იარლიყით დაღავენ „თავგანწირულებს“ და თესავენ შიშს თითოეული მოქალაქის გულში... სამწუხაროდ, მაინც გაგონდება ათეული წლების უკანდელი საქართველოს ისტორია, ასეთი „შეჩვენებულების“ სიმრავლე. თვალწინ წარმოგიდგება მშობლიურ მიწაზე ბევრი მათგანის ჩახოცვის უმკაცრესი სურათები, ბევრი მათგანის კი საზღვარგარეთ გაქცევ-გადაშენება. და... მერე, კიდევ უფრო სამწუხაროდ, გაგახსენდება ისიც, რომ ბოლოს, ეს გაქცეულ-დაღუპულ-გადაშენებულები ჭრილობამოშუშებულმა ქვეყანამ და ხალხმა გმირებად შერაცხეს, ხოლო ძალაუფლებით თავგზააბნეულმა იმდროინდელმა პოლიტიკურმა „მოღვაწეებმა“ ჯერ ერთმანეთი დახოცეს და ბოლოს ყველანი ერთად ისტორიამ დაასამარა. სად იყო სიმართლე, თავში თუ ბოლოში? ნუთუ ძნელია ჭეშმარიტების მიკვლევა? რას გვეუბნება ისტორია და რას გვეტყვის მომავალში? მართლაც რომ, რთულია ყოველივე ეს!

ისტორიაში ჭეშმარიტების ძიება ბეწვის ხიდზე გასვლაა! სახელმწიფოს მართვა კი – დიდი ხელოვნება. ხელოვნება, რომელიც სამართლიანობაზე და ჰუმანურობაზეა დამყარებული.

რა უნდა იფიქროს მშიერმა ხალხმა, რომელსაც მაძღრები არ უჯერებენ. უფრო მეტიც, დევნიან, მათ ხმას ახშობენ?

რა უნდა ქნან ჩაგრულებმა, როდესაც სამართალდამცავები არ უსმენენ?

რა უნდა ქნან უძლურებმა, როდესაც ძლიერთათვის უცხოა მათი განცდები?

რა უნდა ქნან კანონმორჩილებმა, როდესაც კანონს თავად კანონის შემქმნელები არამც თუ არღვევენ, არამედ თავიანთ თავზე ირგებენ?

და ახლა პირიქით: რა უნდა ქნან მაძღრებმა! რა უნდა ქნან სამართალდამცავებმა! რა უნდა ქნან ძლიერებმა!

არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, რა უნდა ქნან. ერთი რამ კი ნათელია ჩემთვის: ყოველივე ეს მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ!

და სანამ არ ეცოდინებათ, მანამ ყინვაში, თოვლში, ქარცეცხლში, ჭექა-ქუხილსა თუ კოკისპირულ წვიმაში დადგებიან ადამიანები, თავიანთი მოთხოვნებით გაათენებენ ღამეს და ისინი ზოგისთვის სამშობლოს მოღალატენი იქნებიან, ზოგისთვის კი სამაგალითო გმირები!

**გულნარა სტურუა**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ წარდგინება

# კიდევ ერთი კარგი ქართული საქმე




## „მაგთიკომისგან“ ქართველი ხალხისთვის ამაღლების დღესასწაულზე მიძღვნილი საჩუქარი

**„ჩემი შემოქმედება ჩემი ერის და ჩემი სამშობლოს წარსულს, აწმყოს და მომავალს ეკუთვნის, და თუ რამეს ვაღწევ, ისევ საკუთარი მიწისადმი სიყვარულით და რწმენით. რომ მხოლოდ მასთან ახლოს დგომით შეიძლება შეიქმნას ნამდვილად ცხოვრებისეული და შესაძლოა ნოვატორულიც!“**

ეს სიტყვები გასული საუკუნის ერთ-ერთმა შესანიშნავმა მხატვარმა კოკი მახარაძემ 1967 წელს საქართველოს ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა.

მას შემდეგ ორმოცდასამ წელიწადზე მეტი გავიდა.

და 2011 წლის ორ ივნისს, ამაღლების დღესასწაულზე კომპანია „მაგთიკომის“ ძალისხმევით და პირადად ბატონი გია ჯოხთაბერიძის მონდომებით, ქართულმა საზოგადოებამ ძალიან დიდი საჩუქარი — კოკი მახარაძის ნამუშევრების შესანიშნავი კრებული მიიღო.

**მიშა მახარაძე, კოკი მახარაძის ვაჟი:** „უაღრესად მნიშვნელოვანია ჯერ კატალოგის გამოცემა და შემდეგ ასეთი ღონისძიების მიძღვნა, რათა საზოგადოებისთვის ეს წიგნი წარგვედგინა. „მაგთიკომის“ ეს ნაბიჯი მხოლოდ კოკი მახარაძის კი არა, ზოგადად მხატვრობის დაფასებაა. ძალიან იშვიათად ხდება ჩვენ ქვეყანაშიც და ზოგადად მსოფლიოში, როდესაც მხატვარს, მის ღვაწლს სათანადოდ აფასებენ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კომპანია „მაგთიკომი“ და მისი ხელმძღვანელობა, რომელიც შესანიშნავ საქმეს უძღვება და მათი სლოგანიც ეს არის, რომ ქართულ საქმეს აკეთებენ. ასეთი სრულყოფილი სახით ჯერ მამაჩემის ნამუშევრების კატალოგი არ გამოცემულა.“

ამ შესანიშნავ დღესასწაულზე „მაგთიკლუბში“ კოკი მახარაძის შემოქმედების თაყვანისმცემლებს კომპანია „მაგთიკომისთვის“ ჩვეული საინტერესო, მეგობრული და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეულწილად, საქმიანი ატმოსფერო დახვდათ.

იყო მოგონებები. იყო შესანიშნავი მხატვრის მიერ განვლილი რთული გზის თითოეული პერიოდის განხილვა. იყო საუბარი დღევანდელობაზე, ქართული ხელოვნების მომავალსა და პერსპექტივებზე.

და ეს ყველაფერი კომპანია „მაგთიკომის“ ორგანიზებით განხორციელდა.

არადა, ალბომის გამოცემას წინ საკმაოდ დაძაბული და ხანგრძლივი შრომა უძღოდა.

როგორც ამ ალბომის რედაქტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ქალბატონმა ნანა შერვაშიძემ გვითხრა, **ეს კომპანია „მაგთიკომის“ დახმარებით შექმნილი მეოთხე კატალოგია.**

**ქართველი მხატვრების კატალოგების გამოცემის იდეა ბატონ გია ჯოხთაბერიძეს ეკუთვნის**

**ამ გამოცემას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კოკი მახარაძის შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის, ასევე სპეციალისტებისთვის და ქართული მხატვრობის იმ უცხოელი მოყვარულებისთვის, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში ქართული ხელოვნების დესპანები არიან.**



**ეს გამოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კოკი მახარაძე 60-იანი წლების, ანუ ურთულესი პერიოდის წარმომადგენელია. ის, რომ ეს ალბომი ასეთი ბრწყინვალე სახით გამოვიდა, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის.**

უკეთ გააცნო საზოგადოებას, და მომავალ თაობებს მისცე საშუალება, გაეცნოს ეროვნულ ფასეულობებს, უდავოდ დიდი ქართული საქმეა.

სწორედ ეს არის კომპანია „მაგთიკომის“ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ის გამოცემები, რომლებიც ირაკლი ფარჯიანის, ელმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიმ თოდრიას, მერაბ აბრამიშვილისა და ბოლოს კოკი მახარაძის შემოქმედებას მიეძღვნა, „მაგთიკომისგან“ დიდი ქართული ხელოვნების წარმოჩენა და ქართული საქმის კეთებაა.

დამეთანხმებით, რომ ნებისმიერი ალბომის, ნებისმიერი გამოცემის უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულება ბევრ ფინანსურად წარმატებულ კომპანიას შეუძლია, მაგრამ კომპანია „მაგთიკომი“ ქართული საზოგადოების წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობასაც განიცდის.

სწორედ ამ თემაზე გააკეთა კომენტარი კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა.

**ეს იმ ციკლის გაგრძელებაა, რომელიც მაგთიკომმა დაიწყო და რომელიც ქართველი მხატვრების პოპულარიზაციის, მათი ალბომებისა და კატალოგების გამოცემებისთვის ხელშეწყობის პროექტით არის განსაზღვრული. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ქართული საქმის კეთებაა და, ასევე ქართული საქმის კეთებაა ის, რომ მომავალ თაობას უტოვებ ისეთ დიდ საგანძურს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გაეცნოს, შეისწავლოს, გაიზარდოს და იამყოს საკუთარი ეროვნული ღირებულებებით.**

**„მაგთიკომი“ გააგრძელებს მსგავსი პროექტების განხორციელებას და ქართული ხელოვნების მოყვარულებს საშუალებას მისცემს გაეცნონ იმ ხალხის შემოქმედებას, რომლებმაც უდიდესი კვალი დატოვეს ჩვენი კულტურის განვითარებაში. გპირდებით, რომ არაერთ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით გამოცემულ ალბომს შევთავაზებთ საზოგადოებას.**

ძალიან სიმბოლურია ის დღეები, როდესაც კომპანია „მაგთიკომი“ თავის მორიგ ქართულ საქმეს წარადგენს საზოგადოების წინაშე.

6 მაისი, გიორგობა — გურამ ლორთქიფანიძის (ლორთქია) წიგნის პრეზენტაცია.

2 ივნისი, ამაღლება — კოკი მახარაძის ნამუშევრების ალბომის პრეზენტაცია.

**ბატონი გურამის წიგნის პრეზენტაცია, მის დაბადების დღეს დავამთხვიეთ. რაც შეეხება კოკი მახარაძის ალბომის გამოცემას, ეს უბრალოდ დაემთხვა ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულს და ალბათ ამაში ღვთის ნებაა.**

**რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებმაც კოკი მახარაძის ალბომის გამოცემაში მიიღეს მონაწილეობა, გეტყვით, რომ ისინი, თითქმის ყველანი კომპანია „მაგთიკომის“ თანამშრომლები არიან.**

**ამ ალბომის შექმნას საკმაოდ დიდი დრო, დაახლოებით წელიწადნახევარი დასჭირდა და ამაში დიზაინერებმა პაატა ედილაშვილმა, ზურაბ მიმინოშვილმა, ქართული ტექსტის რედაქტორმა ეკა მიქაბერიძემ, მთარგმნელებმა ნინო ტორაძემ, ციცო ხოცუაშვილმა და ფოტოგრაფმა გია ჩხატარაშვილმა უდიდესი ენერგია და სიყვარული ჩაქსოვეს.**

**თავიანთი საქმის ეს შესანიშნავი სპეციალისტები არა მხოლოდ ამ ალბომის შექმნაში იყვნენ ჩართულები. ისინი ფაქტობრივად „მაგთიკომის“ ყველა მსგავსი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ იმ ქართულ საქმეში, რასაც კომპანია „მაგთიკომი“ აკეთებს.**

გაკეთდა კიდევ ერთი კარგი, ქართული საქმე.

გამოიცა გასული საუკუნის სამოციანი წლების ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვრის კოკი მახარაძის ნამუშევრების ალბომი.

და ეს უდაოდ კარგი საქმე გაკეთდა შესანიშნავი ადამიანების, კომპანია „მაგთიკომის“ თანამშრომლების ძალისხმევით.

გაკეთდა და კიდევ გაკეთდება.

**გია გაბრიჭიძე**





◉ ინფორმაცია

### ამნისტია პირადი მონაცემების გამყალბებელთათვის

**მოქალაქეებისათვის, რომელთაც სხვადასხვა დროს გააყალბეს მათი პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები (პასპორტი, პირადობის მოწმობა და სხვა) ამნისტია გამოცხადდება. აღნიშნულის შესახებ, გუშინ ბათუმის იუსტიციის სახლში, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის უფროსმა ლევან დარბაიძემ განცხადება გააკეთა.**

**მისი თქმით, უახლოს დღეებში ძალაში შევა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს პირებს, რომლებიც 2012 წლის 31 დეკემბრამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში განაცხადებენ მათ მიერ დოკუმენტების გაყალბების თაობაზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლით, 362-ე მუხლით ან 363-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შესახებ).**

**როგორც დარბაიძემ აღნიშნა, კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც გარკვეული კატეგორიის დანაშაულები (დაბადების თარიღის გადაკეთება, სახელის, გვარის თვითნებურად შეცვლა, პასპორტის ვადის გაგრძელების შტამპის გაყალბება და სხვა) ჩაიდინეს 2007 წლის 1 იანვრამდე, აგრეთვე - პირებზე, რომლებმაც აღნიშნული დანაშაულების 2007 წლის 1 იანვრამდე ჩადენის საფუძველზე გაყალბებული საიდენტიფიკაციო მონაცემებით გაცემული დოკუმენტები გამოიყენეს ამ კანონის ამოქმედებამდე, თუ ამ დანაშაულებთან დაკავშირებით არ არის დაწყებული გამოძიება.**

### პუტინი როკის გვირაბით დაინტერესდა

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა მაპროფილებელი სამინისტროების ხელმძღვანელებს დაავალა „გაიაზრონ მისი წინადადება“ და ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის შემაერთებელი როკის გვირაბის რეკონსტრუქცია ერთი წლით დააჩქარონ.**

**ოსური მედიის ინფორმაციით, ამჟამად იქ რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით გვირაბის რეკონსტრუქცია 2016 წელს უნდა დასრულდეს.**

**სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დასაქმებულმა მუშებმა ვლადიმერ პუტინს ვიდეოხიდის მიმდინარეობის დროს აუწყეს, რომ სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ოქტომბერში, ანუ ვადაზე შვიდი-რვა თვით ადრე დასრულდება და გამოვიდნენ ინიციატივით რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი მიმდინარე წელსვე დაეწყოთ.**

**პუტინმა აღნიშული წინადადება მისაღებად ჩათვალა და შესაბამის სამინისტროებს მისი განხილვა დაავალა. მანვე აღნიშნა, რომ როკის გვირაბს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ძიუდო

# სამი „ოქრო", ერთი „ვერცხლი"



**გასულ უქმეებზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები სათადარიგო შემადგენლობით რუმინეთში მსოფლიოს თასზე გაემგზავრა ივერი ჯიქურაულის ხელმძღვანელობით. ოთხმა ჩვენებურმა წარმატებით იასპარეზა.** ბეთქილ შუკვანმა ხუთი შეხვედრა წმინდად მოიგო, მათ შორის ავსტრიელ მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ ლუდვიგ პაიშერთან და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მის მაგალითს მიბაძეს ახალგაზრდებში შარშანდელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81კ და ზვიად გოგოჭურმა (90კ, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს. ახლოს იყო მიზანთან მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილი. მან ზედიზედ სამ მეტოქეს სძლია, მაგრამ წლევანდელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ უნგრელ ბარნა ბორთან ვერაფერს გახდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

გუნდურ ჩათვლაში ქართველმა ძიუდოისტებმა ყველას აჯობეს.

**გივი გაგუა**

რაგბი

# „ბორჯღალოსნები" ბრინჯაოს დასჯერდნენ



**თბილისში დამთავრდა ახალგაზრდა მორაგბეთა „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი", რომელშიც რვა ქვეყნის წარმომადგენლები თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთადერთ საგზურს ეცილებოდნენ ერთმანეთს.** საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში იაპონიასთან მარცხით მთავარი პრიზისთვის ბრძოლის უფლება დაკარგა, მესამე ადგილისთვის კი ურუგვაის გუნდს დაუპირისპირდა. პირველი ტაიმი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და შესვენებამდე 20:6 დაწინაურდნენ. მატჩის მეორე ნახევარში სამხრეთამერიკელებმა იძალეს, მაგრამ ორი საჯარიმოს და ერთი არეკნის გატანის მეტი ვერაფერი მოახერხეს. საბოლოოდ ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა 20:15 გაიმარჯვეს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

დრამატულად წარიმართა სამოა-იაპონიის ფინალური პაექრობა. შეხვედრის მე-20 წუთისთვის ამომავალი მზის ქვეყნის შვილები წინ იყვნენ 17:0. მათ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. შესვენებამდე სამოელები 2 ქულით (19:17ძ გავიდნენ წინ, ფინალურ სასტვენამდე კი, როცა ანგარიში თანაბარი (24:24ძ იყო, გადამწყვეტი ლელო გაიტანეს (31:24ძ და სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# ნახვამდის, ევროპა!

**მაინც, რა არის ადამიანი. რაც უფრო ახლოვდებოდა ხორვატეთ-საქართველოს შესარჩევი მატჩი, მით უფრ ინტენსიურად გაისმოდა კითხვა – იქნებ მოხდეს სასწაული და კიდევ ერთი დაუმარცხებელი ბრძოლა გავმართოთო.**

თითქოს არ ყოფილიყოს იმავე მეტოქესთან ორიოდე თვის წინათ გამომცხვარი სენსაცია, როცა ერთადერთხელ დავარტყით ბალკანელთა კარისკენ და რიკოშეტის დახმარებით მივაღწიეთ საწადელს.



ალნიშნულ და მიმდინარე შესარჩევი ციკლის სხვა შეხვედრებში მოპოვებულმა ქულებმა „ჯვაროსნებს" დათვური სამსახური გაუწია, რისი არსიც შემდეგში მდგომარეობს: მთავარია, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნო, უთავბოლოდ მოიგერიო ბურთი მინდვრის ცენტრისკენ, ხოლო წინ 90 წუთის განმავლობაში შემთხვევითობის წყალობით რაიმე გაფხაკუნდებაო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ზუსტად ასეთი სცენარით განვითარდა მოვლენები სპლიტის სტადიონზე. მეტიც, სტუმრად თემურ ქეცბაიას გუნდს მეკავშირედ ძალიც მოევლინა, რომელმაც სამჯერ მოიგერია ფავორიტის ლიდერთა დარტყმები, რამდენჯერმე ლორიამაც გვიხსნა და 75-ე წუთამდე წინ ვიყავით – 1:0 (ანგარიში მე-17 წუთზე სირაძის ფლანგური გადაცემით კანკავამ გახსნაძ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა ამჯერად გაზაფხული ველარ მოიყვანა – ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი – მანჯუკიჩმა და კალინიჩმა პარტნიორებს დამსახურებული გამარჯვება მოუტანეს – 2:1, თანაც, საკვირველი ის უფრო იყო, აქამდე რომ მიიყვანეს საქმე.

ასეთი დასასრულის შემდეგ კიდევ უფრო უსუსურად ჟღერს ჩვენებურთა სამწვრთნელო შტაბის მიერ თავის გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტი – ანალოგიური კონტინგენტით უკეთესზე ვერც ვიოცნებებდითო. როგორ გეკადრებათ – დავიჯეროთ, მეზობელ სომხებს, რომლებიც იმ დღეს ტოლ-სწორად ეომნენ პეტერბურგში რუსებს, მეტი ტაქტიკური განსწავლულობა აქვთ, ტექნიკა თუ საშემსრულებლო ოსტატობა?

მოკლედ, რიხიანი სტარტის მიუხედავად, თანდათან ჩვენს ჯგუფში ყველაფერი თავის ადგილზე დგება და იძულებულნი ვართ შევეგუოთ იმ აზრს, რომ გაისად უკრაინასა და პოლონეთში კონტინენტური ფორუმი უქართველებოდ ჩაივლის!

**ლატვია – ისრაელი 1:2, საბერძნეთი – მალტა 3:1.**

**სატურნირო მდგომარეობა:**

საბერძნეთი – 14, ხორვატეთი, ისრაელი – 13-13, საქართველო – 9, ლატვია – 4, მალტა – 0 ქულა.

შესარჩევი რაუნდი 2 სექტემბერს საქართველო – ლატვიის მატჩით განახლდება.

**იმავე დღეს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო შეხვედრა მოიგო ხორვატეთში – 1:0 (გოლი მე-5 წუთზე თარხნიშვილმა გაიტანაძ.**

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი



# ქართული ლეგიონის საქმენი საგმირონი

**მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ" იტალიის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, სადაც სიენას „მონტეპასკისთან" სატიტულო ბრძოლების სერიას 4 მოგებამდე 11 ივნისს საშინაო შეხვედრით დაიწყებს.**

ქართველი ლეგიონერის კლუბმა ნახევარფინალში 3:1 სძლია „მილანს". დასკვნით მატჩში „მანო" პარტნიორებს 10 ქულით, 4 მოხსნითა და 1 ჩაჭრით შეეწია.

ასევე სასიამოვნო ინფორმაციის მოწოდების საბაბი მოგვცა ლიუბლიანის „ოლიმპიამ", რომლის სპორტულ ღირსებასაც გიორგი შერმადინი და ვლადიმერ ბოისა იცავენ. ამ გუნდმა შინ 61:59 დაამარცხა ნოვო მესტოს „კრკა" და სლოვენიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 1:1.



ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: შერმადინი – 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 დაფარება; ბოისა – ორი ჯარიმა, 1 ბურთის დაკარგვა (2 წუთშიძ. მესამე მატჩი დღეს გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# ექვსგზის!



**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რაფაელ ნადალმა გაიმეორა ლეგენდარული შვედის ბიორნ ბორგის რეკორდი და ზედიზედ მეექვსედ მოიგო „როლან გაროსი".**

ფინალში „გრუნტის მეფემ" 4 პარტიაში სძლია როჯერ ფედერერს, მათ პირად შეხვედრებში კი ანგარიში გახდა 17:8 ესპანელის სასარგებლოდ.

ქალთა ტურნირის გამარჯვებული გახდა ჩინელი ლი ნა.

ინტერნეტიდან

## მძლეოსნური დღესასწაული

**სწორედ ასე მიიჩნიეს „სპორტის დედოფლის" – მძლეოსნობის მოყვარულებმა გასული შაბათ-კვირა, როდესაც გაიმართა რამდენიმე დიდი ტურნირი, სადაც სპორტსმენებმა ნამდვილად დიდებული შედეგები აჩვენეს. განსაკუთრებით აღნიშნავენ „ბრილიანტის ლიგის" მეოთხე ეტაპს ამერიკულ იუჯინში. იქ 31 წლის ამერიკელმა ქალბატონმა კარმელიტა ჯეტერმა 100 მეტრზე სირბილში აჩვენა ისტორიაში მე-7 შედეგი – 10,70. ადრე უფრო სწრაფად ირბინეს მსოფლიოს რეკორდსმენმა ფლორენს გრიფფიტ-ჯოინერმა, მარიონ ჯონსმა და თავად ჯეტერმა, რომლის პირადი რეკორდი 10,64 წამის ტოლია. თანაც იმ დღეს ოთხმა სპორტსმენმა ირბინა 11 წამზე სწრაფად.**



ძალზე სწრაფი იყო იუჯინში მამაკაცთა სპრინტიც. აქ სეზონის აღმოჩენამ, იამაიკელმა სტივმალინგსმა 100 მეტრზე 9.80 წამი აჩვენა, 6 მონაწილე კი – 10 წამის საზღვრებიდან „გამოვიდა". თანაც მალინგსის წარმატება იმავე დღეს დაამხო 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ამერიკელმა ტაისონ გეიმ, რომელიც მსოფლიო სეზონის ლიდერი გახდა, მან 100 მეტრი 9,79 წამში გაირბინა.

მსოფლიოს მძლეოსნური სეზონის ლიდერები გახდნენ აგრეთვე აბუბაკარ კაკი (სუდანი – 800 მეტრიძ, დევიდ ოლივერი (აშშ – 110 მეტრი დაბრკოლებებითძ, კენია სინკლერი (იამაიკა, 800 მ.ძ, ლაშინდა დემუსი (აშშ, 400 მ. დაბრკოლებებითძ, ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელორუსი, ბირთვიძ, ოლგა სალადუხი (უკრაინა, სამმაგი ხტომაძ, ერთ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კენიელმა მოზეს მოსოპმა 30 000 მეტრი მან გაირბინა 1.26,47,4 საათში, ხოლო ამავე დისტანციის 25000-მეტრიან ნიშნულზე აჩვენა 1:12,25,4.

## ისევ ერთად არიან

**ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი კრისტიან ვიერი და სერბი მოდელი ნენა რისტიჩი ისევ ერთად არიან. „ისევ" იმიტომ, რომ ეს წყვილი ერთად იყო, სანამ ხუთი წლის წინათ მათ შორის „შავი კატა გაირბენდა".** მაშინ ნენა თურმე ამბობდა, რომ მისი დამოკიდებულება ბობისთან (ასე იცნობდნენ ვიერისძ ფლირტზე მეტი არ ყოფილა. ხოლო მათი განხეთქილება მისგან მოდიოდა. თუმცა შემდეგ ნენამ აღიარა, რომ უყვარდა ვიერი, რაზეც ღიად განაცხადა ერთ-ერთი რადიოსადგურის ეთერში – „დიახ, ჩვენ ბობისთან ერთად ვიყავით, ჩვენ რომანი გვქონდა, მაგრამ ის დიდხანს არ გაგრძელებულა". თუმცა ამ წყვილის შერიგების საბუთები ჯერჯერობით ნათლად არ ჩანს, მაგრამ ეს დასაჯერებელია, ალბათ უნდა ველოდეთ პაპარაცების მიერ გადაღებულ სურათებს რომელიმე კაფეში ან პლაჟზე.



ნენაზე კი ისიცაა ცნობილი, რომ ორი წლის წინათ დედა გახდა და ისიც, რომ ის აღარასოდეს მიიღებს მონაწილეობას პიკანტურ ფოტოსესიებში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ⓞ პორტრეტი

# ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ — საჩუქრად პატრიარქს!

## შალვა სირბილაშვილმა შედევრი ხელის კანკალით გადაწერა

**ამ ახალ საუკუნეში შოთა რუსთველის უკვდავი შედევრი „ვეფხისტყაოსანი“ ხელით ჯერ მხოლოდ 75 წლის შალვა სირბილაშვილმა გადაწერა. გასულ საუკუნეებში რამდენიმე ასეთი ხელნაწერი ნიმუში გვაქვს, თუმცა XXI ს-ში ჯერჯერობით, არა.**

„ვეფხისტყაოსნის“ ხელით გადაწერის იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც ბატონი შალვას შვილიშვილი უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მონათლა. **„რა ვაჩუქო პატრიარქს ამ უდიდესი სიხარულის მონიჭების გამო მადლიერების გამოსახატავად-მეთქი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე ჩემი ხელით ნაწერი უდიდესი ქართული ქმნილება მიმერთმია, ნიშნად სიყვარულისა და პატივისცემისა“**, — ამბობს ხელნაწერის ავტორი, რომელსაც წიგნი კათოლიკოს-პატრიარქისთვის ჯერ არ მიურთმევია. ის ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადება.

ლამაზი, თითქოს ნახატი ქართული ასოებით გადაწერილ შოთას ქმნილებაზე ვერავინ იტყვის, რომ 75 წლის ასაკის პიროვნების შექმნილია. მითუფრო, ვინც ბატონ შალვას გაიცნობს, ადვილად შეამჩნევს, მარჯვენა ხელი თუ როგორ უკანკალებს. **„თითოეული სტროფის წერას 8 წუთს ვანდომებდი. ვწერდი ძირითადად ღამე, ხანდახან გადაღლილს ერთი და იგივე ტაეპი რამდენჯერმე გადამიწერია... ხელნაწერს თავიდან აშკარად ეტყობა, რომ ხელის კანკალით არის დაწერილი, მაგრამ თანდათან გამოვასწორე... ის ათი თვე, რაც გადაწერას მოვანდომე, ჩემთვის იყო სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი, დაღლა არც მიგრძნია. ეს არ გამიკეთებია ანგარებით ან რამე სხვა მიზნით, პირიქით, ამით ჩემი ადამიანური მადლიერება გამოვხატე ილია II-ს მიმართ. ჩვენ მასზე გულწრფელი წმინდანი არ გვყოლია, ერის მოძღვარია, ჭკუის დამრიგებელი; ვალდებულია ყოველი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი მის შეგონებებს ყური დაუგდოს“...** — ამბობს ბატონი შალვა, რომელმაც პატრიარქს ლექსი უძღვნა:

**დიდ მოძღვარს საქართველოსი!**

**„რუსთველი იყო მოწამე,**
**ჩემი შენდამი რწმენისა,**
**სიყვარულს გჩუქნი მონა-მე,**
**უფლის და მთელი ერისა!**
**შენ, უწმინდესო, მლოცველო,**
**შენ, ბრძენო მამავ ერისა,**
**შენ, ღმერთის მადლის მთოველო**
**კალამო — ლექსის წერისა;**
**ცის ანგელოზი მეძახის,**
**ლოცვად და მღერად რწმენისა,**
**შენი იმედი მესახვის,**
**გამთლიანებად ერისა!**
**ას წელზე მეტი გეთვალოს**
**გალხინოს ერის ლხენამა**
**იესომ მრევლი გიმრავლოს**
**ჯვარი გიკურთხოს ზენამა“!**

მას ღვთისა და ერის სიყვარული პატარაობიდანვე ულვივის გულში. 1936 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ზეგანში დაიბადა. რამდენიმე წელი სკოლაში არ უვლია, ოჯახური მძიმე პირობების გამო, მაგრამ მწყემსად წასული ყმაწვილი თივის ზვინში მოიკალათებდა და გატაცებით კითხულობდა თურმე წიგნებს, იზეპირებდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს. გასაკვირი, ალბათ, არცაა, რომ გამორჩეულად შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ჰყვარებია. ძალიან ბევრი ტაეპი და აფორიზმი იცის ზეპირად. ცოდნას მოწყურებულს საშუალო სკოლა მაინც დაუმთავრებია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც.

სტუდენტიც განსაკუთრებული ყოფილა. არა მხოლოდ სწავლაში იყო წარმატებული, არამედ 1959 წელს დედაუნივერსიტეტის საპატიო დაფაზე ყოფილა გამოკრული მისი ფოტოსურათი, რადგან მის სახელს უკავშირდება თბილისისა და მისი შემოგარენის გამწვანება. 555 ძირი ხე დაურგავს და ყოველდღე 20-ლიტრიანი ტიკით წყალს უსხამდა. ამიტომაც უყვარს ასე განსაკუთრებით თავისი ხელით გახარებული ხეების ფოთოლთშრიალი...

ადამიანი, რომელიც სამათეულზე მეტხანს კომუნისტურ ძალოვან სტრუქტურას ემსახურა, თითქოს მკაცრი და პირქუში უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით, სამართლიანი გამომძიებელი თანამშრომლებსაც და პატიმრებსაც ერთნაირად ყვარებიათ. უსამართლობას ვერასოდეს ურიგდებოდა და რამდენჯერმე დაპირისპირებია კიდეც პროკურორებს. მაშინ დრო არ ჰქონდა, მაგრამ პოეზიის, ლიტერატურის, ხელოვნების სიყვარული არასოდეს განელებია. პენსიაზე გასვლის შემდეგ კი სამი სახელოვანი შვილითა და შვილიშვილებით გახარებული პაპა თავის კაბინეტში ჩაიკეტა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ის ოცნება აისრულა, რაც ბავშვობაში ჰქონდა.



ის ორი ლექსების კრებულისა და ერთი რომანის ავტორია. „ოქროს სათვალე“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია, სადაც იურისპრუდენციაში მუშაობის წლობით დაგროვილი გამოცდილებაა თავმოყრილი; რაც შეეხება ლექსებს — აქაც უხვადაა პატრიოტიზმი, წინაპრების მიმართ პატივისცემა, ბუნების სიყვარული, ქალის მიმართ ტრფობა თუ სხვა... მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები საყვედურობენ კიდეც ავტორს იმის გამო, რომ არ ჩანს, არ გამოირჩევა, ე. წ. პრეზენტაციებით...

**„მინდა ბევრი რამე მოვასწრო, შვილებს დავუტოვო, ჩემს მომავალ თაობას,** — ოპტიმიზმს არ კარგავს ბატონი შალვა, — **კიდევ უნდა გადავწერო „ვეფხისტყაოსანი“ და ჩემს შვილიშვილებს ვუსახსოვრო. ასაკის მიუხედავად, ენერგია საკმარისად მაქვს, თანაც ღმერთის ძალას და მადლსაც ვგრძნობ, ჩვენ ხომ ყველანი ღვთის შვილები ვართ“.**

მართლაც, მისი სამაგიდო წიგნი ბიბლიაა. ეს წიგნთაწიგნი ხომ სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნის წყაროა. რუსთაველს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც ბიბლიაში არ წერია, უბრალოდ, მან ეს სიბრძნე გენიალურად გადმოსცა და მაღალმხატვრულად გაამრავალფეროვნა.

**„იმ ბნელ, ურწმუნოების ხანაში ღმერთი არასოდეს დამვიწყებია. რწმენით გავზარდე ჩემი ორი ქალიშვილი და ვაჟიშვილი. 21 ნათლული მყავს. არასოდეს ფაქტებით არ მიმსჯელია, ყოველთვის ადამიანის სულში ღრმად ვიხედებოდი და ისე ვაკეთებდი დასკვნებს. ცრემლი არავისთვის დამინახვებია, მაგრამ ჩუმად, გულამოსკვნით მიტირია კიდეც. ტირილი სულაც არ არის დამამცირებელი ვაჟკაცისთვის, ეს ყველაზე ბუნებრივი სულიერი მდგომარეობაა. აკი რუსთველის გმირებიც ძალიან ხშირად ტირიან“**, — ამბობს ბატონი შალვა.

მისი რწმენა და ღვთისადმი მორჩილებისა და სიყვარულის დასტურია ისიც, რომ დღეს მის სახლში მოკრძალებით ინახება პურის ცომისგან გამოკვეთილი სამების ეკლესიის მაკეტი, რომელიც წლების წინათ უსახსოვრეს პატიმრებმა წარწერით — „მართალ კაცს!“

**ნია ფიფია**

ⓞ რეფორმა ქართულად!

# სკოლები ფაქტობრივად გაუქმდა და გადაკეთდა მოსამზადებელ განყოფილებებად

**ასეთ დასკვნებს აკეთებენ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები საჯარო და კერძო სკოლებში ერთიანი საატესტატო გამოსაშვები გამოცდების დამთავრების შემდეგ.**

2010 წლის იანვრიდან საქართველოს პრეზიდენტისა და განათლების მინისტრის გადაწყვეტილებით, ყველა საჯარო და კერძო სკოლაში დაიწყო მზადება ერთიანი საატესტატო გამოსაშვები გამოცდებისთვის და 2011 წლის 23 მაისიდან 2 ივნისამდე ყველა სკოლაში ჩატარდა გამოცდა 8 საგანში კომპიუტერული მეთოდებით. ამ ე.წ. რეფორმას, რომელიც კოლოსალური თანხა დაჯდა, მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის ქება-დიდებისა, მთელი რიგი უარყოფითი მხარეები გააჩნია. განათლების ექსპერტების განმარტებით, სკოლებმა ფუნქციები დაკარგეს. კერძოდ, არც ერთ სკოლას არა აქვს ატესტატის გაცემის უფლება, რითაც სკოლის მასწავლებლის დაწერილ ნიშნებს ფასი დაეკარგა, ანუ სკოლას რისი გაცემის უფლებაც ჰქონდა დაწერილი ნიშნების საფუძველზე, გაუქმდა. ამით ყველა საჯარო და კერძო სკოლა ხელისუფლების ფავორიტი გახდა და გადაკეთდა მოსამზადებელ განყოფილებებად, რადგანაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მასწავლებლისთვის ვინ გადაუხდის სწავლების საფასურს მინისტრი — თუ ვინმე აშორდია... მის დაწერილ ნიშნებს ხომ მაინც არავინ ენდობა ატესტატის ასაღებად.

პარადოქსია, მაგრამ რა აზრი აქვს მასწავლებლის სერტიფიცირებას ორ ან ოთხ საგანში და 750 თუ 1000-ლარიან ხელფასებს, თუ მათ ნასწავლს არავითარი ფასი და ნდობა არა აქვს. ვერავითარ სამართლებრივ ნორმაში ვერ თავსდება ის, რომ მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადებზე გამარჯვებულ ნაკრების წევრებს ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში და ა.შ., რომლებმაც მსოფლიო ოლიმპიადებზე ასპარეზობა უწევთ, მაინც არ ენდობიან მათთვის დაწერილ ნიშნებს და საატესტატო გამოცდები უნდა გაიარონ.

ზუგდიდში ჩატარებული საატესტატო გამოცდების მიხედვით დადგინდა, რომ კერძო სკოლების მოწაფეებმა საატესტატო გამოცდებზე გაცილებით მაღალი შედეგები აჩვენეს, ვიდრე საჯარო სკოლებისა, რაც შეიძლება კერძო სკოლებისთვის შემცირების მიზეზიც გახდეს. ისინი ორივე შემთხვევაში წარმატების თუ წარუმატებლობისთვის განწირულები არიან, ანუ ჭრელი პეპელას მდგომარეობაში მყოფი სკოლები, ალბათ, ვერ გაივლიან ავტორიზაციის პროცესს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

## არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)
## საქმე №12-2011

**თქვენ, მაფიტუნ სადიკოვს, გარდაბნის რ-ნი, სოფელი ყარათაკლია, მაგლაბ სადიკოვას, გარდაბნის რ-ნი, სოფელი ყარათაკლია და რაის გასანოვს, გარდაბნის რ-ნი, სოფელი ყარათაკლია, გიბარებთ მოპასუხეების სახით საარბიტრაჟო სხდომაზე 2011 წლის 20 ივნისს, 17 საათზე, საქმეზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელის გამო მაფიტუნ სადიკოვის და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, მისამართზე ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

**საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები ალექსანდრე, რომან, ანა კუჭუხიძეები, ჯემალ ჯინჯოლავა, თემურ ბაბუნაშვილი, თამაზ დანელია, დემურ ღალანიძე, თამაზ იმედაძე, ლია რაზმაძე, ელენე ესაკია, მარინა იზორია, მარიამ პავლიაშვილი, ნაირა გალახვარიძე, ხათუნა ჩუგოშვილი, ომარ შამათავა, ხიმურ რუხაია, გიორგი ზღუდაძე, მანანა ასათიანი, ლუარა გვაჯაია, ცისანა ბასილაშვილი, ეთერ ბჟანია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე უნივერსიტეტის დეკანის მოადგილის, პროფესორ ნატალია ქავთარაძის დედის**

**ნათელია პახუშის ასული ძაძამია-ქავთარაძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლო ნათესავებს და მეგობრებს.**

ⓞ ვითარება

# სტიქიამ ახმეტას შეუტია

**ზარალის შემსწავლელმა კომისიამ ახმეტის რაიონში 2 ივნისს სტიქიით მიყენებული ზარალის შესწავლა დაასრულა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ განუცხადა, სტიქიამ ახმეტის რაიონი 500 ათასი ლარით აზარალა.**

**გამგებლის განმარტებით, ინფრასტრუქტურაზე მიყენებული ზარალი 200 ათას ლარს შეადგენს, მოსახლეობას კი 300 ათასი ლარის ზარალი მიადგა.**

**— სტიქიამ დააზიანა გზები. 70 საცხოვრებელი სახლის პირველი სართული და სარდაფები დაიტბორა. სეტყვამ მოსავლის 70%-ზე მეტი გაანადგურა. ამ ოჯახებს რა სახის დახმარებას გავუწევთ, ჯერ უცნობია. ალბათ, მალე გავარკვევთ, — აღნიშნა კობა მაისურაძემ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### როგორ დაფრინავენ ანგელოზები?



**ლონდონის უნივერსიტეტის ბიოლოგმა პროფესორმა როჯერ უოთსონმა სხვადასხვა ეპოქის მრავალი ევროპელი მხატვრის არაერთი ნახატი შეისწავლა და დაადგინა, რომ გამოსახულ არც ერთ ანგელოზს ფრენა არ შეეძლებოდა. ამის საფუძველი ის გახდა, რომ არც ერთი სხეული ფრენისთვის გამოსადეგი არ არის, რადგან ისინი ძალიან დიდებია, ხოლო ფრთები – პატარა, თანაც ნაკრტენები მარტო ფრთებზეა, რაც ჰაერში გადაადგილებას ხელს არ უწყობს. კუნთების სისტემა კი იმდენად სუსტადაა განვითარებული, რომ ფრთების ენერგიულად ქნევის შესაძლებლობას არ იძლევა.**

თუმცა ზოგ წყაროში მითითებულია, რომ ზოგიერთ ანგელოზს ექვსი ფრთა ჰქონდა. ექვს ფრთას კი შეეძლებოდა სხეულის ამწე ძალის შექმნა, თუმცა პროფესორს ვერაფრით წარმოუდგენია, თუ როგორ დაუკავშირდებოდა ასეთი კონსტრუქცია კუნთოვან სისტემას.

ენერგეტიკისა და აეროდინამიკის თვალსაზრისით, ანგელოზთა არასრულყოფილება სულაც არ უშლის ამერიკელთა 68 პროცენტს სჯეროდეს მათი არსებობისა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ პროფესორმა უოთსონმა ანგელოზთა ფრთები ზედმეტად სწორხაზოვნად შეაფასა – აქაოდა თუკი ისინი ჰქონდათ, აუცილებლად უნდა ექნიათო და ისე ეფრინათ. არადა იქნებ ისინი ამწე ძალას სხვა ხერხით, ვთქვათ, ლევიტაციით ქმნიან, ფრთები კი მანევრირებისა და სილამაზისთვის სჭირდებათ. თანაც ადამიანებისგანაც ხომ უნდა გამოირჩეოდნენ?

### დადებითი ნიშნით

**რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ზოგი წამლის გვერდითი მოვლენები მათ... დადებით თვისებებად შეიძლება მივიჩნიოთ.** ამერიკელ მკვლევართა აზრით, გლაუკომის წვეთები ხელს უწყობს თმისა და წამწამების ზრდას; სტატინებს – სისხლში ქოლესტერინის შემცველობის დამწევებს – მამაკაცების პოტენციის გაძლიერება შეუძლიათ. ცოტა ხნის წინათ კი დაადგინეს, რომ ასპირინი დეპრესიის დაძლევის კარგი საშუალებაა. ავსტრალიელ მეცნიერთა აზრით, ამ ფენომენის საიდუმლო ორგანიზმში ანთებითი პროცესების შემცირება და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებაა.

### „წიგნთა წიგნი“

**დიდებული ფოტოსურათებით ილუსტრირებული, სპეციალური ტექნოლოგიით დასტამბული ბუტანის სამეფოს „ბიოგრაფიული წიგნი“ მსოფლიოში ყველაზე დიდი ბეჭდვითი გამოცემაა.**

ეს 112-გვერდიანი, 1,52 X 2,13 მეტრის ფორმატის წიგნი 59,85 კილოგრამს იწონის და „სულ რაღაც“ 30 ათასი დოლარი ღირს.

### ყველა თვალს მორიდებული თალი

**ეთიოპიის პირველი იმპერატორი მენელიკ I ბიბლიური მეფე სოლომონისა და საბაელთა დედოფლის შვილი იყო.**

16 წლის მენელიკი იუდეას წაბრძანდა მამის სანახავად. სოლომონმა ვაჟიშვილს მორწმუნეთა თალი აჩუქა, რომელზეც ათი მცნება იყო ამოკვეთილი. თავის დროზე, ეთიოპიის ქალაქ აქსუმთან ქვის სამი უზარმაზარი სტელა იდგა, რომელთაგან ერთ-ერთის ნაწილებილაა შემორჩენილი. სწორედ ამ ნანგრევთა შორიახლოს ღვთისმშობლის პატარა მონასტერია აგებული. გადმოცემით, სოლომონის ნაზოძები თალიც სწორედ იმ მონასტერშია დასვენებული, თუმცა ის, გარდა იქაუროზის მომვლელი ბერისა, თვალით არავის უნახავს. ამ ბერის გარდა მონასტერში ფეხის შედგმის უფლება სხვას არავის აქვს. ასე მოდის



უხსოვარი დროიდან, ხოლო, როცა ბერი სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს, თავად იწყებს მთელ საქრისტიანოში მართლმადიდებელი ბერის ძებნას, რომელსაც წმინდა მარიამის ეკლესიას გადააბარებს...

### ისევე, როგორც ეჭვმიტანილებს...

**რუსეთის ფედერაციის ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ მიასის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში... უსაფრთხოების საკითხს მთელი სერიოზულობით მიუდგნენ.** საქმე ის არის, რომ საბავშვო ბაღის დირექტორის ინიციატივით, ამ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლისას თანამშრომლებს, მშობლებსა და თავად ბავშვებს... თითების ანაბეჭდებს ულებენ!

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, რამდენი?

● მრავალრიცხოვან ვენეციურ სუვენირებს შორის, რომლებსაც ყოველდღიურად უამრავი უცხოელი ტურისტი ყიდულობს, გამოჩნდა ახალი, ძალიან ლამაზი ღია ბარათი სან-მოკელეს ხედებით, რომელიც ვენეციის მთავარი სასაფლაოა, წარწერით „მხოლოდ თქვენ აკლიხართ“. მათ მხოლოდ გაუნათლებელი ტურისტები ყიდულობენ.

● ლონდონელი ედუარდ ვარტონ-ტაიგარი სიგარეტის კოლოფების შემგროვებელია და მას მილიონზე მეტი იარლიყი აქვს. აქვს ასევე სავაჭრო მარკების კოლექცია, რომლის რიცხვმა 45 ათასს გადააჭარბა.

● ბრიუსელელი გი ვან კეერი ვადაგასული პასპორტების მოგროვებით არის გატაცებული. მის კოლექციაში 3880 ეგზემპლარია 130 ქვეყნიდან. ყველაზე ძველი პასპორტი 1615 წლით თარიღდება.

● ჰალსტუხების მოგროვების ჩემპიონად ითვლება ტომ ჰოლმსი, ქალაქ უოლსოლიდან (დიდი ბრიტანეთი). მას 10624 სხვადასხვა ფორმისა და დიზაინის ჰალსტუხი აქვს.

● მედისონელი (ნიუ-ჯერსის შტატი) უილიამ კრისტენსენი ლუდის ცარიელ ქილებს აგროვებს, მას უკვე 75 000 ქილა დაუგროვდა 12 ქვეყნიდან.

● ლონდონელმა ბრაიან ვაინერმა 3750 სამედიცინო პლასტირი შეაგროვა. მის კოლექციაში ვერ იპოვით ორი ერთნაირი ფორმის, ზომისა და შეფერილობის პლასტირს.

● ავსტრალიელი დასენ ჰახე გადასაყვანი სურათების შეგროვებით არის გატაცებული. მისი კოლექცია 277 820 სურათს ითვლის.

● იტალიელმა ედუარდო ჯაკონემ 5502 ბოთლი ვისკი მოაგროვა და არც ერთი ბოთლიდან ყლუპიც არ დაულევია.

● ბერძენმა პენსიონერმა ფოსტალიონმა დიმიტროს პისტოლიომ 440 კინოკამერა მოაგროვა. მათ შორის ყველაზე ძველი 1901 წელს არის გამოშვებული.

● მას თითქმის ყველა სახლში შეხვდებით. ჩვენთვის ის ყოველდღიური აუცილებელი საყოფაცხოვრებო დეტალია, იაპონელებისათვის კი თითქმის ხელოვნების ნიმუში. მის დასამზადებლად საუკეთესო მასალაა კრიპტომერიის მერქანი, რომელსაც შესანიშნავი ფერი, სასიამოვნო სუნი და კარგი აკუსტიკა აქვს – ეს არის უნიტაზი.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## ყურადღება!

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთისა“ და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია**

**2011 წლის 17 ივნისს 13 საათზე ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის 45-ში მდებარე საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (VI სართული) მართავს საერთაშორისო სადისკუსიო ფორუმს, რომელიც მოისმენს და განსჯის საუბრებს:**

**რაფიელ გელანტიასი, თემაზე:**

**ძველი კოლხეთის ეთნოკულტურული სივრცე – აფხაზეთი და აფხაზები.**

**დემურ ღაღანიძისა, თემაზე:**

**„აფხაზთა და ქართველთა ადრინდელი ერთობლივი მამულიშვილობის დღევანდელი მაჯისცემა“.**

**კარი საამისოდ მოწადინებულთათვის ღიაა, მობრძანდით, მიიღეთ მონაწილეობა!..**

კოორდინატორი აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

პატარა მიხო ყურადღებით უყურებს, როგორ ასმევენ ძროხას წყალს და მერე დარწმუნებით ამბობს:

– ახლა კი ვხვდები, როგორ ურევენ რძეში წყალს.

* * *

გინდათ ზაფხულში ცოტა ფული გამოიმუშავოთ? – მოიჩხრიკეთ თქვენი ზამთრის ტანსაცმლის ჯიბეები!..

* * *

– თქვენ მეკითხებით, რა ჰქვია წიგნს, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა? – სისხლის სამართლის კოდექსი.

* * *



ქალიშვილები ქორწილამდე ცხვირსახოცს ჭმუჭნიან, შემდეგ კი – ქმარს.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24